ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 38
(11 392)

16 – 18 მაისი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი

## ხვალ!

### უეფას თასის ფინალია: „არსენალი“ (ლონდონი) – „გალათასარაი“ (თურქეთი)



## ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ

ოლიმპიური თამაშების წინ, ყველა შეჯიბრებაზე, მით უფრო, თუ ის საერთაშორისოა, იმის იმედითაც მიდიან, რომ ოლიმპიადის მომავალ მეტოქეებს უფრო ახლოს გაეცნონ. თუმცა, ამ დროს, ზოგი საერთოდ თავს არიდებს გამოსვლას სარბიელზე, ზოგიც გარკვეული მოსაზრებით ბოლომდე არ იხარჯება და ამოუცნობი რჩება. დაახლოებით ასეთი სიტუაციაა ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის წინ, სადაც ჩვენი ნაკრები გუშინ გაემგზავრა უფროსი მწვრთნელის მამუკა ხაბარელის ხელმძღვანელობით. ხაბარელი აცხადებს, რომ ამ ჩემპიონატს წინასაოლიმპიადო სტარტად მიიჩნევს და მთავარი ამოცანა არ არის მედლებისთვის თავგამოდებით ბრძოლა, თუმცა ჯოლდოს მოპოვების რეალური შანსი ყველა ჩვენიანს გააჩნია და კონკრეტულ სიტუაციას ხელიდან არ გაუშვებენ. არ არის გამორიცხული, რომ ევროპის ქვეყნებმა პოლონეთში ძირითადი ნაკრებით იასპარეზონ, ცხადია, მათ შორის უმეტესობა ოლიმპიელი იქნება. მოკლედ, ევროპის ამ ჩემპიონატს ერთის მხრივ ძალთა შემოწმების ფუნქცია აკისრია, მეორის მხრივ კი მწვრთნელები სიფრთხილეს იჩენენ,ვაითუ ევროპის ჩემპიონატის ჯილდო ოლიმპიურ მედალს ანაცვალონ, დაზღვეული, განსაკუთრებით ტრავმებისაგან, არავინაა. ყველაფერი ხდება! პოლონეთში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: ნესტორ ხერგიანი, გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, გიორგი გუგავა, ჯონდო მუზაშვილი, ივერი ჯიქურაული.

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

### ნომერშია:

- ბორის პაიჭაძის სახელობის ბავშვთა ლიგა
- გახსოვთ პატარა გივია?
- ფაქტი და კომენტარი: განმარტებას იძლევიან სპეციალისტები
- მწვრთნელ ენეის გამო ორ ქვეყანას „ცივი ომის“ საშიშროება ემუქრებოდა
- გამოხმაურება ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე
- უცხოეთის ფეხბურთის სხვა ამბები



## ჩვენები ევროთასებზე?

სფფ-ს მიმართვის საფუძველზე, უეფადან მოვიდა პასუხი, რომელიც იტყობინება, რომ საქართველოს უფლება აქვს ევროთასებზე წარადგინოს 4 გუნდი:

ჩემპიონთა ლიგაზე – 1 გუნდი

უეფას თასზე – 2 გუნდი

ინტერტოტოს თასზე – 1 გუნდი

...ჩვენი ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში II საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება.

... უეფას თასზე, დებულების მიხედვით (პარაგრაფი 1, მუხლი 1.02, პუნქტი A), უეფას თასზე გადის ქვეყნის თასის მფლობელი გუნდი და კლუბი, რომელიც დაიკავებს ადგილს ჩემპიონთა ლიგაში გასული გუნდის შემდეგ.

*შენიშვნა:* მუხლი 1.04

2000-2001 წწ. სეზონიდან მხოლოდ თასის მფლობელი გადის უეფას თასზე. იმ შემთხვევაში, თუ თასის მფლობელი ხდება ქვეყნის ჩემპიონი და მონაწილეობას იღებს ჩემპონთა ლიგის გათამაშებაში, უეფას თასზე გავა თასის ფინალისტი.

## ჭაბუკთა ნაკრები ემზადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და რეგიონული ფედერაციების თაოსნობით 18 წლამდე (1982-83 წწ. დაბ.). საქართველოს ნაკრებისთვის კანდიდატთა უკეთ შერჩევისათვის 2-8-15 მაისს შევარდენის სტადიონზე ჩატარდა დასავლეთ საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა შერჩევა-საკონტროლო მატჩები. მონაწილეობდნენ: სამეგრელოს ორი, აჭარა-გურიის (გაერთიანებული) და იმერეთის რეგიონების ნაკრებები.

ასეთი შეკრება პირველად ჩატარდა და „შევარდენის“ ჩინებულ სტადიონზე ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული, რაც ნაკრებთა მწვრთნელებმაც აღნიშნეს. ასე რომ, შეკრებების სარგებლობა თვალნათლივ გამოჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის ანალოგიურ ღონისძიებას სფფ-ს ხელშეწყობით, თვით 18 წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა და მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ უთავკაცეს. სფფ შემდგომშიც გაითვალისწინებს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ინტერესებს და მომზადებისთვის ყველა პირობას შექმნის. წლეულს საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები გამოვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელიც ხორვატიაში ნოემბერში ჩატარდება. ჩვენი მეტოქეები იქნებიან ხორვატები და ესპანელები.

ასეთი საკონტროლო მატჩები ასევე ხელს შეუწყობს 18 წლამდე ნაკრებს უკეთ მოემზადოს მოახლოებული ამხანაგური მატჩისათვის აზერბაიჯანის ნაკრებთან. ეს მატჩი 3 ივნისს სუმგაითში გაიმართება.

**ბია ისიანი,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტრუქტორი — 18 წლამდე ნაკრების მენეჯერი

## სფფ სიტუაციას გააკონტროლებს

რაც უფრო ახლოვდება საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატის ფინიში, მით უფრო მძაფრდება ვნებათაღელვა, რომელიც აშკარად სცილდება წმინდა სპორტულ ინტერესებს, გამიზნულია დათესოს უნდობლობა, დაპირისპირება, ეჭვები, დაუმსახურებლად გაუტეხონ სახელი ჩემპიონატის ორგანიზატორებს, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ გუნდის ხელმძღვანელებსაც კი, რომლებიც ჩემპიონატის მოახლოებული ფინიშის სწორზე მატჩს აგებენ ან... იგებენ. დიახ, სწორედ ასეა, ცილისწამება და ეჭვების თვითდინებაზე მიშვება ორივე შემთხვევაშია დასაშვები – ანგარებით ხომ წაგებაც შეიძლება და მოგებაც (ჩაწყობით).

სიტუაციის გამწვავება მართლაც ყველა ვარიანტშია შესაძლებელი თუ კაცი შუბლზე ძარღვს გაიწყვეტ და ხელს აიღებ ნამუსზე. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სიმართლეს ჭორი ურჩევნიათ და პროფესიონალიზმს – დილეტანტიზმი. ამ ვითარებაში კი არ შეიძლება ფეხბურთის ფედერაცია განზე გადგეს და მოვლენების ინერტულ მეთვალყურედ დარჩეს. ახლა ნამდვილად დადგა კონკრეტული მოქმედების დრო. სიტუაციის მეტად დაძაბვა აღარ შეიძლება. პირიქით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი. სფფ ორი მიმართულებით ააქტიურებს მუშაობას. პირველი – ძირშივე აღმოიფხვრას საეჭვო მატჩების ანუ კლუბებს შორის გარიგებების შესაძლებლობა და მეორე – თავიდან იქნეს აცილებული ყოველნაირი შესაძლო პროვოკაცია, რომლის მიზანი შეიძლება იყოს ქართული ფეხბურთის ინტერესების დისკრედიტაცია.

სფფ-ში გუშინ გამართულ ოპერატიულ თათბირზე ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა. მალე სფფ-ში ჩატარდება შეხვედრა ჩემპიონატის ლიდერი და აუტსაიდერი კლუბების პრეზიდენტებთან, შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც თვალყურს მიადევნებს ყველა პრინციპულ მატჩს. ადრინდელისგან განსხვავებით ახლა სავალდებული იქნება ასეთი მატჩების ვიდეოფირზე დაფიქსირება, იგეგმება აგრეთვე სხვა ღონისძიებები.

## საქართველო, გერმანია და სხვები ერთ ოლიმპიურ ნაკრებში?



თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩანაფიქრია, ეს ალბათ მართლაც ასე მოხდება. მთელი ევროპა, ყოველ შემთხვევაში, ერთ ფედერაციულ სახელმწიფოში გაერთიანებული ევროპის სახელმწიფოები შექმნიან ერთ ოლიმპიურ ნაკრებს.

რაზეა ლაპარაკი? ამ დღეებში გერმანიის ერთი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი წინადადებით გამოვიდა ევროკავშირის ბაზაზე შეიქმნას ერთიანი ევროპული სახელმწიფო — ევროპის შეერთებული შტატები ან ევროპის ქვეყნების ფედერაცია თავისი კონსტიტუციით. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს წინადადება მომხრეებმა უმალვე აიტაცეს, მაგრამ, როგორც ყოველ ახალ თაოსნობას, მოწინააღმდეგეები საკმაოდ გამოუჩნდნენ. ახლა, რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებს. ჯერ კიდევ ამ 10 წლის წინათ დავობდნენ იმაზე, რომ ოლიმპიადებმა გრანდიოზული ხასიათი მიიღო, ლიცენზიების, კვოტებისა და სხვა შეზღუდვების შემოღებამ საქმეს დიდად ვერ უშველა — უკმაყოფილება უფრო მეტი მოიტანა, ვიდრე სასურველი შედეგები. შინაარსი დაკარგა კუბერტენისეულმა მოწოდებამ „მთავარია, მონაწილეობა“... ადრე ისიც ითქვა, რომ XXI საუკუნეში ალბათ ასპარეზი ოლიმპიურ თამაშებში კონტინენტების ნაკრებებს დაეთმობოდა. ახლა, რაღაც დაახლოებით ამდაგვარისკენ მიდის საქმე (ანალოგიისათვის გაიხსენეთ 1992 წელს ბარსელონაში გაერთიანებულ გუნდში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ამჟამად სოკ-ის დამოუკიდებელი წევრების მონაწილეობა). ერთი ცხადია, ახალ საუკუნეში მსოფლიოში ბევრი ცვლილებები მოხდება, რასაც ბუნებრივია, გვერდს ვერც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აუვლის და იძულებული გახდება, ქვეყნების ახალი გაერთიანებების პოლიტიკურ ნებას დაემორჩილოს.

## ორნი ლიდერობენ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს ვაჟთა მე-60 ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა).

V ტური: ბაად. ჯობავა — ლობჟანიძე 0,5:0,5, სტურუა — ყაჭეიშვილი 0:1, მგელაძე — ბაღათუროვი 0:1, გელაშვილი — გურგენიძე 1:0, სუპატაშვილი — იზორია 0,5:0,5, მჭედლიშვილი — ბეგ. ჯობავა 0:1.

VI ტური: ლობჟანიძე — ბეგ. ჯობავა 1:0, იზორია — მჭედლიშვილი 0,5:0,5. გურგენიძე — სუპატაშვილი 0:1, ბაღათუროვი — გელაშვილი 0:1, ყაჭეიშვილი — მგელაძე 1:0, ბაად. ჯობავა — სტურუა 0,5:0,5

VII ტური: სტურუა — ლობჟანიძე 0,5:0,5, მგელაძე — ბაად. ჯობავა 0,5:0,5, გელაშვილი — ყაჭეიშვილი 1-0, სუპატაშვილი — ბაღათუროვი 0,5:0,5. მჭედლიშვილი — გურგენიძე 1:0. ბეგ. ჯობავა — იზორია 0,5:0,5.

შვიდი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ლიდერობენ: თბილისელი გიორგი ყაჭეიშვილი და რუსთაველი თამაზ გელაშვილი.

4-4 ქულა აქვს ხუთ მოჭადრაკეს: გია ბაღათუროვს, ბაადურ ჯობავას, ზურაб სტურუას, ხვიჩა სუპატაშვილს და დათო ლობჟანიძეს.

**მარიკა ჯაფარიძე**




# ოლიმპიურ თამაშებს 122 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

# სოკ-ში მაღალჩინოსნებმა ჭკუა ვერ ისწავლეს...

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ საბერძნეთში ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციულ ანთებასთან და სიდნეიმდე მის მოგზაურობასთან დაკავშირებით, ანუ ესტაფეტის პირველსავე ეტაპზე, სკანდალი აგორდა. წინასწარი შეთანხმებით ესტაფეტაში უნდა ჩართულიყო ავსტრალიელი მორბენალი გოგონა, მაგრამ ბოლო მომენტში იგი 11 წლის სოფი გოსპერით შეცვალეს. ვინაა სოფი გოსპერი? ცხადია, არავინ, თუ არა ერთი ჩვეულებრივი ავსტრალიელი გოგონა, მაგრამ, რაც მთავარია, იგი თურმე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის კევან გოსპერის შვილია და ნაცნობობით თუ სამსახურებრივი მდგომარეობის „ბოროტად" გამოყენებით მშობელმა თავისი გაიტანა. პირველებმა ამ უმსგავსოებასა და თვითნებობაზე ხმაური პრესამ და ტელევიზიამ ატეხა. სოკში იძულებული გახდნენ შელახული ღირსების აღსადგენად სასწრაფოდ გადაედგათ მკაცრი ნაბიჯი. ასეც მოხდა, დაიწყო გამოძიება, თანაც კევან გოსპერის საქმეს კორუფციასთან კავშირის მიმართულებითაც შეისწავლიან.

შარშან სოკ-ის მაღალჩინოსნების კორუფციაში მხილებასთან დაკავშირებით გახმაურებული ამბების შემდეგ, ამ უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორც ჩანს, ბევრმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

## 50 წლის წინათ...

***ჭიათურა.*** აქ სტალინის სახელობის მაღაროს სამმართველოსთან გაიხსნა კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი და საჭიდაო არენა.

***რუსთავი.*** დაიწყო ქალაქის 1950 წლის გათამაშება ფეხბურთში 12 გუნდის მონაწილეობით.

***ბათუმი.*** ქალაქის პირველობაზეველოსპორტში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა „პიშჩევიკის" წევრმა გ. მარტიროსიანმა.

***თბილისი.*** 1200 სტუდენტი მონაწილეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპარტაკიადაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა სამთო ფაკულტეტმა.

# იან ჰომერი

*იან ჰომერი (1898-1981), 20-30-იან წლებში ეს სახელი ქუხდა თბილისის, მოსკოვის და ლენინგრადის ჩოგბურთის კორტებზე. მან და მისმა აღზრდილებმა ჩაუყარეს საძირკველი ქართულ ჩოგბურთს, მიუხედავად სიძნელეებისა, წარმოაჩინეს მთელი რიგი ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ სპორტს.*

*ამ წერილში მე შევეცადე თვალი გამედევნებინა მისი ცხოვრების გზისთვის და მიმეტანა მკითხველამდე ის მართლაც აუწონავი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ქართული ჩოგბურთის შექმნასა და განვითარებაში.*

*დიდ მადლობას ვუხდი იან ჰომერის მოწაფეს ტატიანა ბაქრაძე-კრუპენიკოვას, რომელიც დამეხმარა ამ გამოჩენილი ოსტატის ცხოვრების ბევრი დეტალის დაზუსტებაში.*

60-იანი წლების ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად მაესტრო იანი (ბევრი ასე ეძახდა იან ჰომერს), თავისი უფროსი დის ივონას მიწვევით გაემგზავრა შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში. იმ დროს საზღვარგარეთ გასვლა დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან და ყველას ძალიან გაგვიხარდა, რომ ბატონი იანი ათეული წლების განმავლობაში უნახავ დედმამიშვილს შეხვდებოდა. ვიზიტი გაგრძელდა, დაირხა ხმები, რომ მაესტრო დარჩა ნიუ-იორკში და აღარ ფიქრობს თბილისში დაბრუნებას. მაგრამ, რასაკვირველია, დაბრუნდა და აი ჩვენ ვსხედვართ „დინამოს" კორტებზე, მაესტრო გვიყვება თავის მოგზაურობაზე შტატებში. ის იყო მშვენიერი მთხრობელი, არაჩვეულებრივი ცნობისმოყვარე, ცოცხალი და ნათელი გონების პიროვნება. ჩვენთვის, ახალგაზრდა თაობისთვის, ამერიკა იყო სადღაც ძალიან შორს, მიუწვდომელი რამ, იმავე დროს, საერთოდ, ყველაფერი შემოიფარგლებოდა იმით, როს ჩვენ ვუსმენდით რენტგენის ფირფიტებზე ლუი არმსტრონგის და ელა ფიცჯერალდის ჩანაწერებს, „ამერიკის ხმის" უხარისხო გადაცემებს და განთქმული უილის კანოვერის ჯაზურ მუსიკას. მაესტრომ მოგვითხრო, თუ როგორ დაეხეტებოდა ნიუ-იორკში, როგორ დაათვალიერა მუზეუმები, ბროდვეიზე მოუსმინა მიუზიკლს, იყო „მედისონ სკვერ გარდენში", „კარნეგი ჰოლში". და მაშინ ვკითხე თუ სად წავიდა ნიუ-იორკში ჩასვლისას უპირველესად. იანი ჰომერმა გაიღიმა და მითხრა: რასაკვირველია, „ფორესტ ჰილზში" (განთქმული ჩოგბურთის კორტები, სადაც 1978 წლამდე ატარებდნენ შტატების ღია პირველობას). მაშინ საემიგრაციო სამსახურმა მას შესთავაზა ამერიკის მოქალაქეობა. „როდესაც წარმოვიდგინე თბილისი, პლეხანოვის კორტები, მეგობრები, ახლობლები, დაუყონებლივ უარი ვთქვი ამ მაცდუნებელ წინადადებაზე".

ქართულ მიწაზე აღზრდილმა, შეისისხლხორცა რა ქართული კულტურა, იან ჰომერი იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, მას უყვარდა თბილისი, თავისი სახლი, ფანატიკურად ერთგული იყო საყვარელი სპორტისა, და ამ კავშირის გაწყვეტა მას არ შეეძლო.

იან ჰომერის ცხოვრება გაჟღენთილი იყო დრამატული მოვლენებით. სამთო ინჟინრის შვილი, წარმოშობით ბერძენი, ის თავის ოჯახთან ერთად ჩამოვიდა ჭიათურაში, სადაც მაესტროს მამამ დაიწყო მუშაობა ინგლისურ კომპანიაში „Forward and Salinas" ჯონ ტარსეის ხელმძღვანელობით. ინგლისელებმა მაშინ ააშენეს ჭიათურაში, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ჩოგბურთის კორტი. იან ჰომერი სწორედ იქ გაეცნო ჩოგბურთს. „თამაში ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით თეთრი ბურთები, რომლებიც ტყვიასავით მიაპობდნენ ჰაერს" — იხსენებდა იან ჰომერი. ჩოგბურთის თამაში ბევრმა დაიწყო, მას „ჭაშნიკი" გაუსინჯეს წერეთლების ოჯახშიც. აკაკი წერეთლის ბიძაშვილის ლიზა წერეთლის ეზოში, სახელდახელოდ კორტიც მოაწყვეს. თამაშს ხშირად ესწრებოდა თავად აკაკი წერეთელი, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდა კორტზე. „საყვარელი მგოსნის გამოჩენა მუდამ გვიხაროდა — იგი ხომ ძალზე მხიარული ადამიანი იყო და დაუსრულებლად გვიამბობდა სასაცილო ამბებს, 13 წლისამ ქალაქის ოფიციალურ შეჯიბრებაში ვცადე ძალა და... ჩემპიონობა მოვიპოვე მოზრდილებს შორის". მალე ოჯახი თბილისში გადასახლდა მიხეილის, ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე 117-ე ნომერში, სადაც იმ დროისთვის ცნობილი საჩოგბურთო კლუბი იყო.

მიიღო რა ჩოგბურთის პირველი გაკვეთილები ჭიათურაში, იან ჰომერი ხვეწს თავის ოსტატობას და ერთდროულად მწვრთნელობასაც ეწევა. 10 წლის განმავლობაში (1918-1927) მაესტრო იანი თბილისის და საქართველოს უცვლელი ჩემპიონი იყო. მერე ის შეცვალეს მისმა მოწაფეებმა, გამოჩენილმა ჩოგბურთელებმა ედუარდ ნეგრებეცკიმ და არჩილ მდივანმა. 1928 წელს იან ჰომერს წილად ხვდა პირველი წარმატება როგორც მწვრთნელს — პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე ამიერკავკასიის გუნდმა, რომელიც მთლიანად იყო დაკომპლექტებული საქართველოს ჩოგბურთელებით, მე-2 ადგილი დაიკავა. იან ჰომერი იგონებდა: „სასპარტაკიადო მოსკოვში ხმა გავარდა, ე. წ. ჩერნიშევსკის ყაზარმებში (ამჟამინდელი კომუნის მოედანი, სადაც მოათავსეს ჩვენი გუნდი) უძლეველი ჩოგბურთელები ცხოვრობენო. ყველას უნდოდა თბილისელ ჩოგბურთელთა ხილვა. ისინი ხომ კორტების აღიარებულ ოსტატებთან — მოსკოველებთან ერთად სპარტაკიადის ფინალში გავიდნენ. ეს ფაქტი მაშინ სენსაციად მიიჩნიეს. უნდა ითქვას, ჩვენი ჩოგბურთელები რამდენიმე დღეში მოსკოველ მაყურებელთა ფავორიტებად იქცნენ."


იან ჰომერი (შუაში) მოწაფეებთან

მხოლოდ 39 წლის შემდეგ, ქართველმა ჩოგბურთელებმა შეძლეს 1928 წლის შედეგის გამეორება.

უკვე 30-იანი წლების დასაწყისისათვის, იან ჰომერმა აღზარდა გამოჩენილი ჩოგბურთელების მთელი პლეადა, რომლებიც მოხვდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში. აი ისინი: თამარ გოგოლაური, ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი, ვლადიმერ სერებრიანიკოვი. შემდგომში კი ედუარდ ნეგრებეცკი და არჩილ მდივანი გახდნენ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები. და კიდევ, მაესტრო იანის ერთი მოწაფე ბორის კრუპენიკოვი 40-იან წლებში ადგილს იმკვიდრებს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში. მაღალი კლასის სპორტსმენების აღზრდის გარდა, იან ჰომერი ამზადებს მწვრთნელებსაც. არამ ხანგულიანი (ალექსანდრე მეტრეველის მწვრთნელი) მუშაობას იწყებს „დინამოს" კორტებზე (ყოფილი ე. წ. პეტერსონის კორტები, ჩიტაძის ქუჩაზე), გუგული დიდიძე (აღზარდა ვანო ელერდაშვილი, გივი კოკაია, ვიქტორ ურაევსკი) მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე.

მაესტრო იანის მოღვაწეობის სფერო 30-იან წლებში სცილდება პროფესიული მოღვაწეობის ჩარჩოებს. ის ბევრს მოგზაურობს საქართველოში. მისი სტატიები, რომელიც ეხება სპორტის განვითარების პრობლემებს საქართველოში, იბეჭდება პრესაში, აქტიურად მონაწილეობს ახალი კორტების მშენებლობაში.

მაგრამ ულმობლად ახლოვდებოდა 1937 წელი, რომელმაც დიდი გარდატეხა შეიტანა იან ჰომერის ცხოვრებაში. იმ წელს მან დაკარგა ბევრი მეგობარი, მეზობელი, მოწაფე. აპრილში დააპატიმრეს არჩილ მდივანი. მაესტრო ინერციით განაგრძობს მუშაობას. ივნისში შეკრებაზე მიემგზავრება მოსკოვში სხვა წამყვან ქართველ მწვრთნელებთან და ჩოგბურთელებთან ერთად. მოსკოვში ჩადის განთქმული ფრანგი ჩოგბურთელი ანრი კოშე, რომელიც 2 თვის განმავლობაში ინტენსიურ ვარჯიშებს ატარებს და მონაწილეობს საჩვენებელ თამაშებში. აგვისტოში კი დიდი ფრანგი თბილისს ეწვია და მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე შეხვდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელებს. იან ჰომერი მშვენივრად ფლობდა ფრანგულ ენას და ანრი კოშესთან მუდმივი ურთიერთობის დროს შეიძინა სპორტსმენების მომზადების ახალი, ფასდაუდებელი ცოდნა.

მაშინ აჩუქა დიდმა ფრანგმა იან ჰომერს თავისი ფოტო ავტოგრაფით: „იან ჰომერს, ჩოგბურთის სიმპათიურ და მომთმენ პროფესორს, ჩემი საუკეთესო სურვილებით".

მაგრამ ამაოდ, ახალი ცოდნა მან ვერ გამოიყენა პრაქტიკაში. 1937 წლის მიწურულს ერთ ღამეში იან ჰომერი თავის ძმებთან მარსელთან და ჟორჟთან ერთად დააპატიმრეს. მათ აბსურდული ბრალი ედებოდათ — შპიონაჟში საზღვარგარეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ. სამეულის გადაწყვეტილებით, მაესტროს მიუსაჯეს 10 წელი საბანაკო რეჟიმი და შემდეგ 5 წელი გადასახლება. ბანაკში 10 წლით ყოფნისას, მან გაიარა ჯოჯოხეთის ყველა წრე. მოხვდა რა კოლიმის ბანაკში, მოყინვის შედეგად რამდენიმე თითი დაკარგა ხელზე და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის გამო დარჩა ცოცხალი. და იქ, შორეულ კოლიმაზე მას ისევ ჩოგბურთმა უშველა. სრულიად შემთხვევით, ბანაკის საწყობში ის წააწყდა ჩოგნებს და



შესთავაზა უფროსობას აეშენებინათ კორტი. დათანხმდნენ. ეს მოხდა გადასახლების მე-4 თუ მე-5 წელს, მაშინ ჯანმრთელობა ძალიან შერყეული ჰქონდა და ერთ ან ორ წელიწადში შეიძლება ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრებულიყო. იან ჰომერს „დაუფასეს" ეს მისი მოღვაწეობა ჩოგბურთში და გადაიყვანეს კუნძულ სახალინზე, სხვა ბანაკში, სადაც ის უკეთესი კლიმატური პირობების გამო გადაურჩა სიკვდილს.

მხოლოდ 1948 წელს ამდენ ტანჯვაგამოვლილს დართეს ნება, დასახლებულიყო ქუთაისში. აქ იან ჰომერმა ასფალტის კორტი მოაწყო პედაგოგიურ ინსტიტუტში და ურთულეს პირობებში აღზარდა კარგი ჩოგბურთელები. მისი საუკეთესო მოსწავლე ცეზარ მეგენეიშვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში. ცეზარი დღესაც აგრძელებს ქუთაისში თავისი დიდი მასწავლებლის წამოწყებულ საქმეს.

დაბრუნდა რა თბილისში რეაბილიტაციის შემდეგ, იან ჰომერს გულგრილად შეხვდნენ ისინი, ვინც იმ დროისთვის ხელმძღვანელობდა ქართულ სპორტს და კერძოდ, ჩოგბურთს დიდი მაესტროსთვის ადგილი არ მოინახა კორტებზე. მაგრამ იან ჰომერი არ ჩამოშორდა ჩოგბურთს — მსაჯობს შეჯიბრებებს, ატარებს ვეტერანთა ტურნირებს, ჩოგბურთელებს უწევს კონსულტაციებს. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი პარტიული ხელმძღვანელების ჩარევის მეშვეობით, იან ჰომერის დამსახურება ქართული სპორტის წინაშე ღირსეულად დაფასდა. მას მიენიჭა ჯერ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება. 70-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სპორტული ნაგებობების მშენებლობაში.

იან ჰომერის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩვენ ვსაუბრობდით პლეხანოვის ძველ კორტებზე. მაესტრო, როგორც ყოველთვის, ენერგიული, ლაზათიანი, ოპტიმიზმით აღსავსე იყო. მე ეს აღვნიშნე და ბატონმა იანიმ მიპასუხა, რომ საიდუმლოება იმალება ძველი რომაელების ფორმულაში — უნდა იცოდე აწმყოს დაფასება, არ უნდა შეიწუხო თავი მომავალზე ფიქრით და, მით უმეტეს, დაუბრუნებელი წარსულით. „პატიმრობაში, ეს ფორმულა დამეხმარა და გადამარჩინა სიკვდილს. არ დამეკარგა სიცოცხლისადმი ინტერესი ყველაზე რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც კი".

რამდენიმე დღის შემდეგ, მაესტრო იანი გარდაიცვალა.

ახლა, როცა საქართველოში ჩოგბურთის დანერგვიდან უკვე ასი წელი გავიდა, უნებლიედ ვუფიქრდებით თუ რა როლი შეასრულა იან ჰომერმა საქართველოში ჩოგბურთის განვითარებაში.

იმ შორეულ 20-30-იან წლებში მან გასწია უზარმაზარი შრომა და, ის რომ, ჩვენმა განთქმულმა ჩოგბურთელებმა ალექსანდრე მეტრეველმა და ლეილა მესხმა მიაღწიეს დიდ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე, ამაშიც იან ჰომერის დიდი დამსახურებაა.

როცა აანალიზებ ქართული ჩოგბურთის გენეოლოგიას, ჩნდება აზრი, რომ ყველა გზა მიდის ერთი მწვერვალისკენ და ეს მწვერვალი არის მაესტრო იანი. საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის ღირსების საქმეა ყველაფერი გააკეთოს ამ გამოჩენილი ჩოგბურთელისა და პედაგოგის სახელის უკვდავსაყოფად.

**ვლადიმერ ბოგლიძე,**
სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

## ? შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი წლიდან ვლინდება საქართველოს ფალავნები ქართულ ჭიდაობაში და ვინ ფლობდა ამ ტიტულს ყველაზე მეტჯერ?

*გია ცერცვაძე, ლაგოდეხი*

**პასუხი:** საქართველოს ფალავანი, როგორც წესი, ვლინდება მხოლოდ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. პირველი შეჯიბრება ფალავნობაზე 1927 წელს ჩატარდა და პირველი ფალავანი გახდა შალვა გზირიშვილი. სულ 2000 წლამდე ჩატარდა 55 ფალავნობა. 11-11 ფალავანი ჰყავს თბილისს და ახმეტას, 9 — ქარელს, 7-7 საგარეჯოს და გორს, 4 — კასპს, თითო — გლდანს, მარტყოფს, მცხეთას, ზესტაფონს, მესტიას და თელავს.

## წიგნის თარო

ჟურნალისტმა გაბრიელ ბარჯაძემ ჩვეული რუდუნების შედეგად კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შესთავაზა ჭიდაობის მოყვარულთ, ესაა ჭიდაობის ცნობარი, რომელშიც თავმოყრილია ქართული, ქართულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობების, აგრეთვე სამბოს, ძიუდოს, სუმოს ოსტატთა სპორტული მიღწევები, წარმოდგენილია ჩემპიონთა და პრიზიორთა მწვრთნელები, საერთაშორისო და ეროვნული კატეგორიის მსაჯები, ლაპარაკია წონით კატეგორიებზე, ბოლოში კი დართული აქვს ჭიდაობებზე გამოცემული ლიტერატურის ნუსხა.

წიგნი, რომლის გამოცემაში ავტორს მხარში ამოდგომიან ლერი ხაბელოვი, გიორგი მაკასარაშვილი, ფარვიზ გველესიანი, მიხეილ სალაძე და სპარტაკ ქარსაულიძე, ისტორიული კადრებითაა ილუსტრირებული.



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში | I ლიგა, II ეტაპი XI ტური

## დინამო (თბ) — ტორპედო 1–1

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სიჭინავა, ნემსაძე, (დათვაძე, 16), ა. სახვაძე, ანჩაბაძე, წიტაიშვილი (რ. არველაძე, 56), გ. შენგელია (თ. რუხაძე, 69).
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, თურმანიძე, ახვლედიანი, ჩხეტიანი, ხვადაგიანი, კვეტენაძე, დ. ჯანაშია (ბობოხიძე, 72), გოგიაშვილი (შეყრილაძე, 65), მახვილაძე, გ. მეგრელაძე (მ. ასათიანი, 55).
*მსაჯები:* კ. მესხი (ზუგდიდი), სამხარაძე (სოხუმი), ცირდავა (გულრიფში).
*გოლები:* 0-1 ასათიანი (84), 1-1 ანჩაბაძე (86).
*გაფრთხილება:* დიდავა.
*გაძევება:* გუჩუა (27).

მხოლოდ 5 წუთი დააკლდა ქუთაისის ტორპედოს იმისათვის, რომ შინ სამი ქულა წაეღო. მატჩი, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდი იყო, ისევ ფრედ დასრულდა. ვერაფრით ვერ შეძლო „ტორპედომ" წლეულს თბილისის „დინამოს" დამარცხება. ლიდერთა მატჩი თავიდანვე დუნედ და მონოტონურად წარიმართა, იშვიათი იყო დასამახსოვრებელი, სახიფათო ეპიზოდები, ცალკეული „აფეთქებები" მატჩის საერთო სურათს არ ცვლიდა, მაგრამ პირველ ტაიმში მაინც იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც აღნიშვნის ღირსია. ტაიმის შუალედში „ტორპედოს" კართან ჯარიმა დაინიშნა. საჯარიმო ანჩაბაძემ შეასრულა, ფეხბურთელმა, რომელიც თამამად შეიძლება საუკეთესოდ მივიჩნიოთ. მისი დარტყმული ბურთი ზოიძემ ვერ შეაჩერა, ცხვირწინ მოიგერია, დამატებაზე კი გ. შენგელიამ უმალვე კარში გაგზავნა იგი. მატჩის მთავარმა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. ამ შეტევას დინამოს კიდევ ერთი იერიში მოჰყვა, თუმცა ზოიძემ ამჯერადაც მოიგერია დათვაძისა და წიტაიშვილის დარტყმები. „ტორპედომ" მეტოქეს, ტაიმის მიწურულს, მეგრელაძის სახიფათო შეტევით უპასუხა, მაგრამ ბოლო მომენტში ფეხბურთელი საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ვერ მისწვდა და დინამოსთვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუ 10 კაცით დარჩენას მშვიდობა ჰქვია — ტაიმის 28-ე წუთზე მსაჯმა დინამოელი ვალტერ გუჩუა (უკვე მერამდენედ) გასახდელისკენ მიაბრძანა. „დინამო" შემცირებული შემადგენლობით, გათამაშების ლიდერს თითქმის ერთი საათი უმკლავდებოდა. შეხვედრის მეორე ნახევარში სტუმრები გააქტიურდნენ, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა. თამაში ძირითადად საჯარიმოს მისადგომებთან მიმდინარეობდა, განსაკუთრებულ ხიფათამდე საქმე არ მისულა. ყველაფერი მწვრთნელთა დროულმა და ზუსტმა შეცვლებმა განსაზღვრა. მატჩის მიწურულს, ორი წუთის მანძილზე, შეხვედრის საბოლოო შედეგი დაფიქსირდა. „დინამოს" საჯარიმოსთან შეცვლაზე შემოსულმა ტორპედოელებმა ბობოხიძემ და ასათიანმა ჩინებულად გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც გოლით ასათიანმა დაასრულა. თითქოს ყველაფერი გაირკვა. „ტორპედო" ჩემპიონობისაკენ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს დგამდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ რეზო არველაძე და გიორგი ანჩაბაძე, რომლის აქტიურ თამაშს მთელი მატჩის მანძილზე მართლაც რომ ლოგიკური გოლი მოჰყვა. მარცხენა ფრთაზე დანიშნული ჯარიმიდან არველაძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ მას ანჩაბაძე დახვდა და ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა! უმწვრთნელოდ დარჩენილმა „დინამომ" მატჩი არ წააგო, ვერც „ტორპედომ" მოიგო, მაგრამ ლიდერის პოზიციები არ დაუთმია, თუმცა ცხრილში გვერდიგვერდ მყოფი ქუთათურები და ვიტ-ჯორჯია, გამალიზიანებლად გრძნობენ ერთმანეთის გახშირებულ სუნთქვას.

## ფაქტი და კომენტარი

### უნდა ჩაეთვალა თუ არა გოლი მსაჯს?

**განმარტებას იძლევა სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე, „დინამო" (თბ) — „ტორპედოს" მატჩის კომისარი ანატოლი მილჩენკო**

არა, არ უნდა ჩაეთვალა, მსაჯის გადაწყვეტილება აბსოლუტურად ობიექტური იყო — აცხადებს ა. მილჩენკო და ფაქტს ასე განმარტავს: „ანჩაბაძის მიერ „ტორპედოს" კარის მიმართულებით დარტყმული ჯარიმის მომენტში გ. შენგელია იმყოფებოდა პასიურ ოფსაიდში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბურთი ზოიძემ მოიგერია და იგი გ. შენგელიას მიუვიდა, ეს უკანასკნელი უკვე აღმოჩნდა აქტიურ ოფსაიდში, ამიტომ გატანილი გოლი მსაჯმა სამართლიანად არ ჩათვალა. ეს იყო სწორედ ის კლასიკური სიტუაცია, რომელიც შესულია მსაჯთა სახელმძღვანელოებში, როგორც უეფას მიერ რეკომენდებული ერთ-ერთი სამაგალითო სიტუაცია".





**კარში დარტყმულ ბურთს იგერიებს მეკარე**

**მოთამაშე „A" ურტყამს კარში. მეკარე „X" ბურთს იგერიებს „B" მოთამაშის მიმართულებით, რომელსაც გააქვს გოლი. კარი აღებულად არ ჩაითვლება, ვინაიდან მოთამაშე „B" დარტყმის მომენტში იმყოფებოდა „თამაშგარე" მდგომარეობაში და აქტიურად ჩაება თამაშში.**

### იმსახურებდა თუ არა გუჩუა გაძევებას?

ამ ფაქტთან დაკავშირებით ა. მილჩენკო განმარტავს: „ვალტერ გუჩუა ხშირად იმსახურებს მსაჯებისგან ყვითელ ან წითელ ბარათს. ამჯერად იგი მსაჯმა გაფრთხილების გარეშე გააძევა მოედნიდან და სრულიად სამართლიანად. მოტივი კი ასეთი იყო. 27-ე წუთზე მსაჯის სასტვენზე უხეში რეაგირება მოახდინა გუჩუამ — მსაჯს დედა შეაგინა, რაც მე თავად გავიგონე. ასეთი გამოხდომისთვის გუჩუა გაძევებას იმსახურებდა, რაც მსაჯმა გააკეთა კიდეც.

### XI ტურის სხვა მატჩები

**„ა" ზონა**

**ვიტ-ჯორჯია — იბერია 2-1**
**სიონი — დინამო (ბთ) 1-2**
**დილა — კოლხეთი 0-2**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 27-10 | 39 |
| ვიტ-ჯორჯია | 11 | 7 | 4 | 0 | 13-5 | 37 |
| დინამო (თბ) | 11 | 3 | 8 | 0 | 11-3 | 34 |
| დინამო (ბთ) | 11 | 6 | 2 | 3 | 16-8 | 33 |
| კოლხეთი-1913 | 11 | 5 | 3 | 3 | 15-8 | 31 |
| სიონი | 11 | 2 | 1 | 8 | 11-24 | 18 |
| დილა | 11 | 2 | 0 | 9 | 9-23 | 16 |
| იბერია | 11 | 2 | 1 | 8 | 6-27 | 16 |

**„ბ" ზონა**

**თბილისი — თსუ 0-4**
**გორდა — სამგურალი 1-2**
**მერანი — კოლხეთი (ხ) 1-0**
**არსენალი — ლოკომოტივი 0-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 11 | 7 | 4 | 0 | 12-1 | 33 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 2 | 2 | 18-3 | 32 |
| თსუ | 11 | 7 | 0 | 4 | 17-10 | 29 |
| გორდა | 11 | 6 | 2 | 3 | 18-7 | 28 |
| სამგურალი | 11 | 5 | 3 | 3 | 11-7 | 24 |
| არსენალი | 11 | 3 | 0 | 8 | 11-21 | 14 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-23 | 14 |
| კოლხეთი (ხ) | 11 | 1 | 0 | 10 | 10-32 | 8 |

## XI ტურის მიმოხილვა

ამ ტურის უმთავრესმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ტორპედომ დინამოელებთან ხუთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. სამაგიეროდ, მეთოდურად წინ მიიწევს ვიტ-ჯორჯია. შედეგი დიდებულია — თერთმეტი მატჩიდან შვიდი მოგება, ოთხი ფრე. თბილისელებმა სამტრედიელებს მოუგეს. მართალია, ერთი ბურთის უპირატესობით, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა აღებულია და ვიტ-ჯორჯია ტორპედოს კვალში უდგას. გაიმარჯვეს ბათუმელებმაც და ფოთელებმაც. ჩემპიონატის პირველი ხუთეული კარგა ხანია გამოვლენილია. მათ შორის სიმჭიდროვეს კი ფინიშის მოახლოება და ევროტურნირების „ბრჭყიალება" განაპირობებს. ალბათ არც ერთ ჩემპიონატში „დინამოს" ასე არ უჭირდა, როგორც ახლა. უმწვრთნელოდ დარჩენილმა მარადიულმა ჩემპიონმა თუ ასე თითო-თითო ქულის შეკოწიწება განაგრძო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი პირველად ეროვნული ჩემპიონატების თერთმეტწლიან ისტორიაში უმედლოდ და ევროსაგზურის გარეშე დარჩება. ვიტ-ჯორჯიას ბოლო სამ ტურში მნიშვნელოვანი და ურთულესი მატჩები ელის. აქედან ორი გასვლითია. ფოთში და ქუთაისში, ერთიც შინ — ბათუმის დინამოსთან, მაშინ, როცა მის უშუალო კონკურენტებს ტორპედოს და თბილისის დინამოს შედარებით იოლი კალენდარი აქვთ. მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ დაძაბულობის ეპიცენტრმა თბილისიდან ისევ ქუთაისში გადაინაცვლოს და ჩემპიონი მაისის ბოლოს, XIV ტურში ტორპედო — ვიტ-ჯორჯიას მატჩმა გამოავლინოს.

„ბ" ზონის შეხვედრებში იყო ერთი გამორჩეული მატჩი — ეროვნული ჩემპიონატების მანძილზე წყალტუბოს „სამგურალმა" პირველად მოიგო რუსთავში. ამ დამარცხებით „გორდამ" საქმე გაირთულა, „სამგურალმა" კი — პირიქით. ახლა ამ გუნდებს შორის სხვაობა 4 ქულაა. წყალტუბოელებს სამი მატჩი ელით ლიგიდან უკვე გავარდნილ გუნდებთან, თანაც ორ შეხვედრას შინ ჩაატარებენ. გორდას ორი გასვლითი მატჩი აქვს ხობში და თბილისში. მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს „მერანმა" და „ლოკომოტივმა" და ზონას ლიდერობენ. თსუ-მ მეთოფეთა დამარცხებით გორდა მესამე საფეხურზე ჩამოაქვეითა. მე-12 ტური 17 მაისს დაიწყება, ორივე ზონაში მატჩები ოთხშაბათს გაიმართება.

## I–VIII ადგილები

### დილა — კოლხეთი-1913 0-2

**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, ებანოიძე (ხორგუაშვილი, 70), გაგნიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, გოჩაშვილი, ციცქიშვილი, არუთუნიანი, ოლგესაშვილი (ცარელიძე, 74), სულთანიშვილი.
**კოლხეთი-1913:** ქვაჩახია, კედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი. ე. გვასალია (გ. ჩიტაია, 72), ახალკაცი (ხუჭუა, 54), ღალანიძე, ჯ. შალამბერიძე (პაპავა, 79).
*მსაჯი:* ი. კახიანი (თბილისი)
*გოლები:* 0-1 ღალანიძე (1), 0-2 გ. ჩიტაია (75).
*გაფრთხილება:* ციცქიშვილი, გოჩაშვილი, ხუჭუა.

### ვიტ ჯორჯია — იბერია 2-1

**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, თოდუა, კობიაშვილი, საჯაია, ჯ. მუჯირი (დოლიძე, 49), ნოზაძე, კოტორაშვილი (ხაჭაპურიძე, 90), გვაზავა, გ. ყიფიანი, გოჩაშვილი (გოცირიძე, 85), გ. ქორიძე.
**იბერია:** ჩომახიძე, ბიწაძე, გედენიძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ნოზაძე, ჯინჭარაძე, კ. ჯანაშია (ონიანი, 32), ს. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე.
*მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი)
*გოლები:* 0-1 ივეჩიანი (28), 1-1 ნოზაძე (48), ქორიძე (76).
*გაფრთხილება:* გეგეშიძე.

## IX–XVI ადგილები

### არსენალი — ლოკომოტივი 0-1

**არსენალი:** კუპატაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, კაპანაძე (წოწკოლაური, 75), კაკაშვილი, ხმალაძე (ტუღუში, 70), ქორიავა (ჩალაძე, 67), ალადაშვილი.
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, მიქაძე, ჩიხრაძე, გ. კვარაცხელია (გილაური, 81), ხიზანიშვილი, გოდერძიშვილი, რუსია, ი. ჯულელი, ხუროძე (კაციაშვილი, 46).
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
*გოლი:* 0-1 ი. ჯულელი (69)
*გაფრთხილება:* კაპანაძე, ხუროძე.

### მერანი-91 — კოლხეთი (ხ) 1-0

**მერანი:** ნაჭყეპია, ამბიძე (დავითაშვილი, 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე (თოლორდავა, 73), კობესაშვილი, ხორხელი, კაკაბაძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული, 72), გუჯაბიძე, როსტიაშვილი.
**კოლხეთი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, ჯიქია, ოდიშარია, აიანადი, კ. ხურცილავა, დ. ჩიტაია, ქაშიბაძე, აბაკელია, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია.
*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი)
*გოლი:* 1-0 დავითაშვილი (85)
პენალტი ვერ გაიტანა როსტიაშვილმა.
*გაფრთხილება:* აიანადი, ამბიძე, ბოლქვაძე, ცქიფურიშვილი.
*გაძევება:* ჯამბურია, თოლორდავა (სათადარიგო მოთამაშე).

### გორდა — სამგურალი 1-2

**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, გაბელაია (ბერიძე, 53), ვ. კილასონია, გელაძე, გ. კილასონია, მიშველაძე (ვიტეიშვილი, 72), კ. ალადაშვილი, ლაბაძე.
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ა. ჩხაბერიძე, შ. დარსაძე, გიორგობიანი, გერაძე, გაგუნაშვილი (ჭყონია, 85), ხუნდაძე (ნებიერიძე, 90). რ. კვერნაძე (ვოსკანოვი, 75), ქუთათელაძე.
*მსაჯი:* ო. გუნთაძე (ლანჩხუთი).
*გოლები:* 0-1 ქუთათელაძე (30), 1-1 ვ. კილასონია (80), 1-2 დარსაძე (86).
*გაფრთხილება:* ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, ბურნაძე.
*გაძევება:* ბურნაძე.

### თბილისი — თსუ 0-4

**თბილისი:** მამალაძე, ყუფარაძე, ჩივაძე, ძაგნიძე, ლაბაძე, ი. შენგელია, ბურდული, კოხრეიძე (მანჭარაული, 87), ტყებუჩავა, გონჩაროვი (კანდელაკი), გადელია (ლოლაძე, 46).
**თსუ:** მერლანი (გუგუნავა, 44), ბარქაია (ბოკერია, 88), ებრალიძე, რ. სვანაძე (ა. ლობჟანიძე, 46), ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მაზიაშვილი, ერაძე, კვიციანი, არჩვაძე.
*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი).
*გოლები:* 0-1, 0-2 წუწუნავა (20, 85), 0-3 სვანაძე (88), 0-4 წუწუნავა (89).

## XII ტურის ანონსი

### მატჩები, მსაჯები, ინსპექტორები

სფფ-ში XII ტურის მატჩებზე მსაჯების დანიშვნის კენჭისყრას ესწრებოდნენ: გ. რუხაძე (ვიტ-ჯორჯიას პრეზიდენტი). ს. კოტრიკაძე (ვიტ-ჯორჯიას მთ. მწვრთნელი), კ. ახალკაცი (კოლხეთი-1913-ის წარმომადგენელი), გ. ხუციშვილი (თსუ-ს მწვრთნელი), და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტისა და სფფ-ს თანამშრომლები.

**«ა» ზონა**

**იბერია — დინამო (თბ):** — ინსპექტორი — ვ. მიმინოშვილი, მთ. მსაჯი — ანიაშვილი. ასისტენტები — მარლიშვილი, რაზმაძე, მეოთხე მსაჯი — ასკაროლი.
**ტორპედო — სიონი:** ინსპექტორი — ნ. ამირეჯიბი, მთ. მსაჯი — მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯები — სანაია.
**დინამო (ბთ) — დილა:** ინსპექტორი — კ. ყრუაშვილი, მთ. მსაჯი — ორდინიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი.
**კოლხეთი-1913 — ვიტ-ჯორჯია:** ინსპექტორი — ა. მილჩენკო, მთ. მსაჯი — შილაკაძე, ასისტენტები — ი. შალამბერიძე, ჩოჩიშვილი, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია.

**«ბ» ზონა**

**სამგურალი — არსენალი:** ინსპექტორი — რ. ჩილაჩავა, მთ. მსაჯი — კ. მესხი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მალალურაძე.
**ლოკომოტივი — თბილისი:** ინსპექტორი — ა. დურსუნიში. მთ. მსაჯი — მაისურაძე, ასისტენტები — ელიკაშვილი, დოლიძე, მეოთხე მსაჯი — ფანიაშვილი.
**თსუ — მერანი:** ინსპექტორი — ნ. კაკულია, მთ. მსაჯი თ. ლაცაბიძე, ასისტენტები — სილაგავა, ხელაძე, მეოთხე მსაჯი — გუნთაძე.
**კოლხეთი (ხ) — გორდა:** ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე, მთ. მსაჯი კახიანი, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ა. შალამბერიძე.





# ბორის პაიჭაძის სახელობის ბავშვთა ლიგა



**გაზაფხული (გორი) — დინამო (თბილისი) 0–4**

14 მაისი. გორის ცენტრალური სტადიონი.
*გოლები:* ვასილ ლუქაშვილი (1 წთ), ანზორ კალაძე (9), ვასილ ლუქაშვილი (48), ჯაბა დვალი (68);
*გაზაფხული:* პაატა ნასყიდაშვილი, გივი ქარქუზაშვილი, გრიგოლ დურგლიშვილი, მიხეილ ხაჩიროვი, არკადი აწკარუნაშვილი, რამაზ ტალახაძე, (მიხეილ კარელიძე 64), გიორგი მაისურაძე, თემურ ლონღაძე, ამირან ყველაშვილი, გიორგი კაიდარაშვილი, ივანე მურადელი;
*დინამო:* დავით ჯვარშეიშვილი, ზურაბ ბარაბაძე, დავით ლომაია, ჯაბა ბერიანიძე, ანზორ კალაძე, ვასილ ლუქაშვილი, არჩილ ალავიძე, ზურაბ კვახაძე, ვაკო კაციტაძე, გივი კაპანაძე, ნიკა ბუბუტეიშვილი;
*შეცვლაზე შემოვიდნენ:* გოგა ექონია 48 წთ, ჯაბა დვალი 56, დავით ცირამუა 64; ბიძინა ზურიკაშვილი 64; ლევან აბაშიძე 66 წთ.
*მსაჯი:* გია მარლიშვილი (ქარელი)
*ლაინსმენები:* ნიზამ ბაირამოვი (კასპი), ზურაბ ასკარ-ოღლი (ქარელი).

შეხვედრის დაწყებისთანავე ვასილ ლუქაშვილმა გორელთა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და თამაშის პირველ წუთზე ანგარიში გახსნა.

მე-2 წუთზე კი, ზურა კვახაძის ძლიერი დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა კარს.

ორიოდე წუთში ვასილ ლუქაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია მასპინძელთა მეკარემ, ბურთს ნიკა ბუბუტეიშვილი შეეგება, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა მიზანს.

მალე ანზორ კალაძის თავისი ნახევრიდან დარტყმული საჯარიმოთი ბურთი ბადეში გაეხვია. ამას ვასილ ლუქაშვილის სოლო რეიდი, ძლიერი დარტყმა და მეკარის თავგანწირული ნახტომი მოჰყვა, ბუბუტეიშვილი მოგერიებულ ბურთს ურტყამს, თუმცა ნასყიდაშვილმა ისევ იყოჩაღა.

მასპინძლებმა სახიფათო შეტევა თამაშის 27-ე წუთზე განახორციელეს. ყველაშვილმა საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ თბილისელთა მეკარე ჯვარშეიშვილი მშვიდად ეუფლება ბურთს.

პირველი ტაიმის მიწურულს „დინამოს" კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ქარქუზაშვილმა არაზუსტად გაგზავნა ბურთი კარისკენ და აქვე დამთავრდა პირველი ნახევარი (0-2).

შესვენების შემდეგ „დინამო" მთლიანად გაბატონდა მინდორზე. მასპინძლები იშვიათად თუ ჩნდებოდნენ მეტოქის ნახევარზე. თამაშის 45-ე წუთზე ვასილ ლუქაშვილს ანგარიშის გაზრდის შანსი მიეცა, იგი თითქმის მეკარესთან ერთი ერთზე გავიდა, მაგრამ სუსტად დარტყმულ ბურთს ნასყიდაშვილი დაეუფლა.

48-ე წუთზე კაპანაძის შესანიშნავი გადაცემით კვლავ ლუქაშვილი აღმოჩნდა მეკარის პირისპირ და არ დააყოვნა, მასპინძელთა გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში სამამდე გაზარდა. ამის შემდეგ გორელები თითქოს გააქტიურდნენ, შეტევებზეც გადავიდნენ, თუმცა დინამოელთა საჯარიმოსთან მიახლოებასაც ვერ ახერხებდნენ. სტუმრები კი ძალზედ მწვავედ უტევდნენ. თამაშის 63-ე წუთზე ვასილ ლუქაშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ გორელები ძელმა იხსნა.

შეცვლაზე შემოსულმა დინამოელმა ჯაბა დვალმა თამაშის 68-ე წუთზე გამოიჩინა თავი, მეკარეს პირისპირ გავიდა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ნინო ცირამუა,**
გორი

## VII ტური

**იმერეთი — განათლება 1-0**
**ლაზიკა — ირაო 0-1**
**გურია — თბილისი 0-2**
**სიონი — დინამო (ბთ) 3-1**
**სენაკი — კახეთი 2-0**
**გაზაფხული — დინამო (თბ) 0-4**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო თბ. | 7 | 7 | 0 | 0 | 27-1 | 21 |
| ირაო | 7 | 5 | 1 | 1 | 12-2 | 16 |
| თბილისი | 7 | 5 | 0 | 2 | 9-5 | 15 |
| დინამო ბთ | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8 | 10 |
| კახეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 16-13 | 10 |
| სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |
| გაზაფხული | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| სენაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 3-11 | 8 |
| განათლება | 7 | 2 | 1 | 4 | 4-6 | 7 |
| გურია | 7 | 2 | - | 5 | 8-20 | 6 |
| ლაზიკა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| იმერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |



### გივი ჩოხელის თასი

# ფინიშამდე შორია

საფეხბურთო სეზონი საქართველოში დასასრულს უახლოვდება, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ჩოხელის თასის გათამაშებაზე, რომლის ფინიშამდე ჯერ კიდევ შორსაა. ტურნირი ორ წრედ მიმდინარეობს, შემდეგ საუკეთესო ექვსეული ფინალისტებს გამოავლენს. გთავაზობთ სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორის **ჯუმბერ თანანაშვილის** კომენტარს:



ჯუმბერ თანანაშვილი

— ტურნირს 48 კლუბი შემორჩა. დასაწყისში მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო. უსახსრობამ შვიდ კლუბს შეჯიბრება ვერ დაამთავრებინა. უდანაკარგოდ მხოლოდ ცენტრალური ზონაა, დასავლეთის ზონაში „ბ" ქვეჯგუფში ზემოხსენებული მიზეზით შეჯიბრებას გამოეთიშნენ შემოქმედის ჩაქუხა, „ა" ქვეჯგუფში — განათლება (ბათუმი), ურეკი და ჩხოროწყუ, აღმოსავლეთის „ბ" ქვეჯგუფში — თბილისის ინტერნატი და ლარწყალი. „ა" ქვეჯგუფში — 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი. ტურნირში 18 წლის ჭაბუკები თამაშობენ. 1982 წელს დაბადებული ჭაბუკების ამ შეჯიბრს თავისი ტრადიციები გააჩნია, ასეთი სახით იგი 1995 წლიდან ტარდება და გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის გივი ჩოხელის სახელს ატარებს. მეორე წრის დასრულებამდე ორი ტური და რამდენიმე მატჩი დარჩა. 27 მაისს ქვეჯგუფების გამარჯვებული 6 გუნდი გამოვლინდება, ხოლო თვით ფინალური თამაშები 20 ივნისს თბილისში ჩატარდება. გუნდები ორ ჯგუფად გაიყოფა და ერთ წრედ ითამაშებენ. ტრადიციულად, 27 ივნისს, ჩოხელის ჯგუფებში დაბადების დღეს ფინალი თელავში გაიმართება, სადაც ერთმანეთს გამარჯვებულები შეხვდებიან.

### ევროპის ჩემპიონატი 16-წლიანთა შორის

# პორტუგალია ჩემპიონია

*კვირას ისრაელში დასრულდა 16 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. ორი მეოთხედფინალური მატჩის ანგარიში ადრე გაუწყეთ, სხვა წყვილებში ჩეხებმა ესპანელებს მოუგეს 2-0, ხოლო ბერძნებმა სლოვაკები პენალტების სერიაში დაამარცხეს 4-2 (ძირითადი დრო ფრედ 2-2 დასრულდა).*

*ნახევარფინალში პორტუგალიელებმა ბერძნებს აჯობეს 2-1, ასეთივე ანგარიშით ჩეხეთმა ჰოლანდიას მოუგო. მესამე ადგილი ჰოლანდიელებმა დაიკავეს, მოუგეს რა 4-0 ბერძნებს. ფინალური შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა, პორტუგალიელებმა ოქროს გოლის წყალობით დამატებით დროში 2-1*



ლევან ფანიაშვილი

*მოუგეს ჩეხებს და საპატიო თასს დაეუფლნენ. ევროპის ჩემპიონატის მატჩებს ფიფას ქართველი არბიტრი ლევან ფანიაშვილი ემსახურებოდა, მან სამი მატჩი იმსაჯა — ჯგუფურ ტურნირში ფინეთი — სლოვაკეთი 2-2, პოლანდია — უნგრეთი 2-0 და მეოთხედფინალი საბერძნეთი — სლოვაკეთი. ქართველმა მსაჯმა საკმაოდ მაღალი შეფასებები დაიმსახურა — ორ თამაშში 8,5, ხოლო ერთში 9 ბალი მიიღო. ახლა მას ინტერტოტოს მატჩები ელის, რომელიც ივნისში დაიწყება.*

## შეხვედრა წარსულთან

# ფეხბურთელი, რომელიც თაიგულებში დაიკარგა

## გახსოვთ პატარა გივია?

ომის წინა წლებში, მთელს საქართველოში ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთ პრივილეგიურ სახეობად ითვლებოდა. მაშინ ხომ „დიდ ურუგვაელებად" წოდებული თბილისის დინამოელები, ლეგენდარული ბორის პაიჭაძის თავკაცობით, უმაღლესი კლასის, ლამაზ, ე. წ. რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობდნენ, რაც მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა. საბედნიეროდ, გამონაკლისი არც რიონისპირა ქალაქი იყო, რომლის პოპულარული გუნდები „დინამო", „შვეინიკი", „კონსერვშჩიკი", „ბურევესტნიკი", „კრასნაია როზა" და სხვები წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

მაშინ ქუთაისელი მოსწავლე-ახალგაზრდობა დილიდან საღამომდე „ქუჩური" ფეხბურთით იყო გატაცებული. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ნამდვილ ბურთზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. ბიჭები ჭინჭს ან ხარის ბუშტს გატენიდნენ და აღმა-დაღმა დააგორებდნენ.

ვეტერანი ფეხბურთელი, ქართული საფეხბურთო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ჯავახაძე დღესაც გულთბილად იგონებს ქალაქის 24-ე (დღეს მეოთხე) საშუალო სკოლაში გატარებულ წლებს, სადაც ახალგაზრდების გართობის ერთ-ერთ მთავარ და უპირველეს საშუალებად ფეხბურთი ითვლებოდა.

1954 წელს ახალგაზრდა მწვრთნელმა ოთარ მაჭავარიანმა, რომელიც ადრე თბილისის „დინამოს" სათადარიგო მოთამაშე იყო, გივი ჯავახაძე ქუთაისში ახალშექმნილი სპორტული სკოლის ფეხბურთის ჯგუფში ჩარიცხა. გივი ჯავახაძეს თავისი პირველი ოფიციალური ასპარეზობა დღესაც ახსოვს... ახსოვს უფრო იმიტომ, რომ მაშინ გორში ჭაბუკთა პირველობაზე პირველად ჩაიცვა სპორტული ფორმა, რაც მთავარია, ბუცი 37-ის ნაცვლად 40 ნომერი იყო, მაგრამ განა ამას დაეძებდა?

იმ პერიოდში ქუთაისის „დინამოს" ხელმძღვანელობას თვალი ეჭირა სპორტსკოლის ფეხბურთელთა გუნდზე, საიდანაც ყოველწლიურად ნიჭიერი ფეხბურთელების შევსებას იღებდა, ასე მოხვდნენ 1947 წელს ქუთაისის „დინამოში" გივი ჯავახაძე, ჟორა გვილავა, ძუკუ სულავა და ზერამ მარგველაშვილი, სულ მალე ნიჭიერმა თაობამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში.

პატარა გივია (ასეთი სახელით იცნობდნენ მას ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო სამყაროში), როცა დინამოელთა რიგებში №8 მაისურით მინდორზე გამოჩნდებოდა, ერთგული გულშემატკივარი მისი ლამაზი თამაშის მოწმე ხდებოდა.

1949 წელს ქუთაისელი ფეხბურთელები პირველად გამოვიდნენ საკავშირო ჩემპიონატზე „ბ" კლასის ცენტრალურ ზონაში მოასპარეზე ვილნიუსის, რიგის, ტაშკენტის, მინსკის, თბილისის და სხვა ქალაქების ოსტატ გუნდებს შორის.

რა დასამალია, ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები „დინამოს" მაშინ საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლ გუნდად არ თვლიდნენ, მაგრამ უფროსი მწვრთნელის, ფეხბურთის კარგი სპეციალისტის დუკა რამიშვილის და თითოეული დინამოელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი გააკეთეს, რათა წარმატებით წარმოეჩინათ საკავშირო არენაზე ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ცხოვრება, საქმისადმი პასუხისმგებლობამ, მონდომებამ და მაღალმა ოსტატობამ თავისი სიტყვა თქვა. ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა მთელი ჩემპიონატი წარმატებით იასპარეზეს და საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს პოპულარული გუნდის თბილისის „სპარტაკის" შემდეგ.

მაშინ ჩვენს ფეხბურთში გაბატონებული იყო დუბლვე სისტემით თამაში და გივი ჯავახაძე მარჯვენა შუამარბის როლს ასრულებდა. განსაკუთრებით კარგად იყო შეთამაშებული გუნდის მარჯვენა გარემარბ შოთა ვაჩაძესთან, რომელმაც კარგად იცოდა გივი ჯავახაძის სწრაფი, მოულოდნელი და ზუსტი პასის ფასი.

გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი ნოე ხერხაძე გივის ეტყოდა: „ერთი შენებურად დამიჯინე, ბურთი ფეხზე და მეტოქის კარს ავაფეთქებო".

1949 წლის ბოლოს გივი ჯავახაძე და ჯუმბერ რუსაძე თბილისის „სპარტაკში" მიიწვიეს, მაგრამ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისელმა ბიჭებმა რესპუბლიკის პირველ კოლექტივში თბილისის „დინამოში" ამოჰყვეს თავი.

გასაოცარი იყო, რაოდენი ძალა და ენერგია ჰქონდა ამ პატარა კაცს, რომელსაც „დინამოში" ამპლუა შეუცვალეს, ნახევარმცველის ფუნქციები და სახელოვანი გრიგოლ ანთაძის მეწყვილეობა დააკისრეს. მოგეხსენებათ, ნახევარდაცვა გუნდის ხერხემალია და მასზე მჭიდროდაა დამოკიდებული კოლექტივის წარმატებები.



ოთარ ლითანიშვილის შარჟი



*1954 წ.*
*მარჯვნიდან პირველი — გივი ჯავახაძე*

ბაკურიანში მიღებულმა ფეხის მოულოდნელმა ტრავმამ გივი ჯავახაძე ფეხბურთს დროებით ჩამოაცილა. საქმეში იმ დროისათვის განთქმული პროფესორი ლანდაუ ჩაერია, რომელმაც 1954 წელს ჩვენს თანაქალაქელს მენისკის ოპერაცია გაუკეთა. იმავე წელს გივი ჯავახაძე ანდრო ჟორდანიამ ქ. ივანოვოს „კრასნოე ზნამიაში" მიიწვია. გივი ჯავახაძეს გუნდში დახვდნენ ქართველი ფეხბურთელები ბ. ხასაია, გ. ჯორბენაძე, მ. ფაცურია, სოხუმელი გოლკიპერი ვ. მაგუპლი და სხვები.

1955 წლიდან სახელოვანი ფეხბურთელი ქუთაისის „დინამოს" სპორტულ ღირსებას იცავდა.

ერთი წლის შემდეგ გივი ჯავახაძემ ოსტატთა ჯგუფში ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო, ხოლო შემდეგ, სამი წლის მანძილზე კვლავ ქუთაისის „დინამოს" ღირსეული წევრი იყო და მისი მონაწილეობით ჩატარებული მატჩი ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის კარგი სკოლა იყო.

1960 წელს ამაგდარმა ფეხბურთელმა სპორტული სარბიელი დატოვა, საბედნიეროდ, ფეხბურთის ხანგრძლივმა კარიერამ, მწარე დღეებთან ერთად ბევრი ტკბილად მოსაგონარიც დაუტოვა ჩვენს თანაქალაქელს.

1951 წელს თბილისის „დინამო" საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად პოლონეთში მიიწვიეს. ვარშავის სადგურზე ჩასულ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და ვეებერთელა თაიგულები მიართვეს, როცა ცერემონიალი დამთავრდა და ფეხბურთელები დაითვალეს, ერთი კაცი დააკლდათ, აღმოჩნდა, რომ ის იყო გივი ჯავახაძე, რომელიც თაიგულებში არ ჩანდა და ვიდრე იპოვიდნენ, ყველამ ერთი სიკვდილი გაათავა.

**ზურაბ ჯავახაძე,**
ქუთაისი

# ჩაერთეთ „შევარდენის" თასის გათამაშებაში

2000 წლის 17-21 და 27-30 მაისს, საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივართა კავშირი „შევარდენი" აწყობს მინიფეხბურთის ტურნირს კლუბის თასის მოსაპოვებლად.

მონაწილეობენ: ქ. თბილისის უბნების, საელჩოების და სხვა ორგანიზაციების მინიფეხბურთის გუნდები (არაპროფესიონალები).

მონაწილეობის მსურველებმა მოგვმართეთ 16 მაისის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის 146, ტელეფონები: 95-84-67, 95-88-21.



UEFA EURO 2000 The Low Countries

## წარმოგიდგენთ ფინალისტებს

# რუმინეთი

რუმინეთის ნაკრებს განსაკუთრებით არც მსოფლიო ჩემპიონატებში გამოუჩენია თავი და არც ევროპის პირველობებზე, მაგრამ გულშემატკივარი კარგა ხანია მიეჩვია ერთ ამბავს: გუნდი ამ უმნიშვნელოვანესი ფორუმების დასკვნით ნაწილში თამაშის უფლებას ნამდვილად იმსახურებს.

რაც შეეხება ევროპის შესარჩევ ტურნირს, იქ რუმინელები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ნამდვილი „გულივერები". აი შედეგები: ლიხტენშტაინთან (შინ) 7-0 (პოპესკუ, კ. მუნტიანუ, ილიე-3, მოლდოვანი, ავტოგოლი), პორტუგალიასთან (სტუმრად) 1-0 (დ. მუნტიანუ), უნგრელებთან (სტუმრად) — 1-1 (მოლდოვანი), სლოვაკიასთან (შინ) — 0-0, აზერბაიჯანთან (სტუმრად) 1-0 (პეტრე). საპასუხო მატჩები: უნგრეთთან 2-0 (ილიე, დ. მუნტიანუ), აზერბაიჯანთან 4-0 (განია, დ. მუნტიანუ პენალტით, ვლადოიუ, როშუ), სლოვაკიასთან 5-1 (ილიე, ჰაჯი, ჩობოტარიუ, მოლდოვანი — 2), პორტუგალიასთან 1-1 (ილიე), ლიხტენშტაინთან 3-0 (როშუ, განია — 2). ამ ტურნირში რუმინელებს ვიქტორ პიცურკე წვრთნიდა, რომელმაც ცნობილი ანგელ იორდანესკუ შეცვალა.

მოვუსმინოთ ინგლისის ნაკრების მწვრთნელ კევინ კიგანს: „უმეტესობა თვლის, რომ ევროპის პირველობის ჩვენს ჯგუფში ყველაზე რთული ინგლის-გერმანიის მატჩი იქნება. ეს ნამდვილად ასე არ არის. ბევრ რეიტინგ-ლისტში ჩვენც და გერმანელებსაც შორს გვისწრებენ რუმინელები. მახსოვს ამ ნაკრების თამაში 1998 წელს, როცა მან მსოფლიო ჩემპიონატში დაგვამარცხა. მატჩის ტელეკომენტატორი გახლდით, მეჩვენებოდა, რომ უნდა მოგვეგო, მაგრამ უკანასკნელ წუთზე პეტრესკუმ დიდებული გოლი გაიტანა. ჩემი ბოლო ფრაზა მაშინ ასეთი იყო: „ამნაირი გოლის გატანა მხოლოდ რუმინელებს თუ შეუძლიათ". ახლა კი სხვა შეჯიბრებაა, სხვა მოთამაშეები, იმედი მაქვს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ამასთან, ასეთი მატჩების მოგება დიდი შრომის ფასად თუ შეიძლება — რუმინელებს, სანამ იქ თამაშობს გეორგე ჰაჯი, ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ.

სწორედ ჰაჯისა და კიდევ რამდენიმე მოთამაშესთან კონფლიქტის გამო მწვრთნელი ვიქტორ პიცურკე ნაკრებს გამოეთხოვა. იგი შეცვალა გამოჩენილმა სპეციალისტმა ემერიხ (იმრე) ენეიმ.

ემერიხ ენეი ეროვნებით უნგრელია.



პეტრესკუ

დაიბადა 1937 წლის 28 მარტს. თამაშობდა „არადში", „ვიქტორიაში", „სტიაუაში", შემდეგ თურქულ „კოჯაელისპორში". 1975-76 და 1983-86 წლებში წვრთნიდა „სტიაუას", 1986-90 წლებში — რუმინეთის ნაკრებს, 1991-92 წწ. კვლავ „სტიაუას", 1992-93 წწ. — უნგრეთის ნაკრებს, 1993-94 წწ. — კვლავ „სტიაუას", 1995 წ. — ბერძნულ „პანიონისს", 1998-99 წლებში დაუბრუნდა „სტიაუას". 1997-98 წლებში მუშაობდა რუმინეთის სპორტის მინისტრად. 2000 წლის 1 იანვარს დაინიშნა რუმინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. მის უდიდეს სამწვრთნელო წარმატებად ითვლება 1986 წელს „სტიაუას" მიერ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვება.

წინამორბედ პიცურკესაგან განსხვავებით, ენეი გაცილებით უფრო ტაქტიანი და კომუნიკაბელურია. თუ პიცურკემ ვერ გამონახა საერთო ენა ნაკრების ლიდერებთან, რომლებიც გაალიზიანა გუნდის გაახალგაზრდავების მიზნით რამდენიმე ფეხბურთელის მოწვევით, ენეის ნამდვილად შეუძლია ერთი მიზნით გაერთიანებული კოლექტივის შექმნა, რაც წარსულში არაერთგზის დაამტკიცა.

ამჟამად ძირითად მეკარედ ითვლება მრავალნაცადი ბოგდან სტელია (1967. 5. 12. 188 სმ. 87 კგ. თამაშობს ესპანურ „სალამანკაში", 66 მატჩი ნაკრებში). იგი რამდენიმე დიდი საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილე იყო და გუნდიც არაერთგზის გადაურჩენია. წლების განმავლობაში მის მუდმივ მეტოქედ ითვლებოდა ფლორიან პრუნია, მაგრამ მას ნაკრებში უკვე აღარ იწვევენ. ახლა მეორე მეკარედ ითვლება 22 წლის ბოგდან იონუტ ლობონტი (ბუქარესტის „რაპიდი"), რომელიც, როგორც ფიქრობენ, ახალი სეზონიდან



გეორგე ჰაჯი

„მილანში", გააგრძელებს კარიერას. რუმინეთში კარგი ავტორიტეტი აქვს კიდევ ერთ გოლკიპერს, 21 წლის ტიბერიუ ადრიან ლუნგს (კრაიოვას „უნივერსიტატეა"). სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინათ, მისი მამა სილვიუ ლუნგიც რუმინეთის მეკარე იყო.

რუმინელების დაცვა ძალიან ძლიერად ითვლება. უკანა ცენტრალურ მცველად თამაშობს გამოჩენილი ოსტატი



პოპესკუ

გეორგე პოპესკუ (1967. 9. 10 188 სმ. 73 კგ. სტამბოლის „გალათასარაი". 82 მატჩი ნაკრებში, 13 გოლი). მარჯვნივ თამაშობს არანაკლებ ცნობილი დან პეტრესკუ (1967. 22.12. 178 სმ. 71 კგ. ლონდონის „ჩელსი", 86 მატჩი, 11 გოლი). სტოპერის როლს ასრულებს იულიან ფილიპესკუ (1974. 29.3. 187 სმ. 80 კგ. თამაშობს სევილიის „ბეტისში". 17 მატჩი). იგი კარგად არის შეთამაშებული პოპესკუსა და პეტრესკუსთან. საინტერესოა, რომ თავიანთ კლუბებში როგორც პეტრესკუ, ისე ფილიპესკუ შუა ხაზზე თამაშობენ — დაცვის ოთხეულის შედარებით ახალი წევრია მარცხენა მცველი კოსმინ მარიუს კონტრა (1975. 15.12.180 სმ. 74 კგ. ესპანური „ალავესი", 14 მატჩი). კიდევ შეიძლება იმ მცველების დასახელება, რომლებსაც ევროპის პირველობაზე გამგზავრების იმედი აქვთ. ესენია: ლივიუ ჩობოტარიუ (ბუქარესტის „დინამო"), ვასილე ვალენტინ ნასტასე (ბუქარესტის „დინამო"), სტეფან დუმიტრუ ნანუ (ჰოლანდიური „ვიტესი"), დანიელ კლაუდიო პროდანი (შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი"), კრისტიან ეუჯენ ჩივუ (ამსტერდამის „აიაქსი").

როცა რუმინელების შუა ხაზზეა ლაპარაკი, აქ ყოველთვის პირველ რიგში ასახელებენ განუმეორებელ გეორგე ჰაჯის, რომელზედაც მთელი წიგნებია დაწერილი. ჰაჯიმ (1965. 5.2 174 სმ.



ილიე

73 კგ. სტამბოლის „გალათასარაი", 105 მატჩი, 35 გოლი), რუმინეთის ფეხბურთში მთელი ეპოქა შექმნა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მან გადაწყვიტა ნაკრებს გამოსთხოვებოდა, მაგრამ შემდეგ შეიცვალა აზრი და თქვა, აუცილებლად ითამაშებდა ევროპის პირველობაზე და ასე დაამთავრებდა თავის კარიერას. ჩინებულ ოსტატად ითვლება კონსტანტინ გილკე (1972. 8.3. 179 სმ. 72 კგ. ბარსელონის „ესპანიოლი", 41 მატჩი, 4 გოლი). გილკე ნახევარდაცვის ნამდვილი მესაჭეა, რომელსაც მინდვრის ყველა ნაწილში დიდი სარგებლობა მოაქვს. შუა ხაზზე უმეტეს შემთხვევაში გამოდიან ფრიად გამოცდილები დორინელ იონელ მუნტიანუ (1968. 25.6. 170 სმ. 70 კგ. ბუნდესლიგის „ვოლფსბურგი", 84 მატჩი, 6 გოლი) და იონ ანგელ ლუპესკუ (1968. 9.12. 180 სმ. 78 კგ. ბუქარესტის „დინამო", 60 მატჩი, 7 გოლი). ამ ხაზზე სხვა პრეტენდენტებია იონ ოვიდიუ საბაუ (ბუქარესტის „რაპიდი"), დუმიტრუ ლაურენტიუ როსუ (ბუქარესტის „სტიაუა"), ფლორენტინ პეტრე (ბუქარესტის „დინამო"), ოვიდიუ სტინგა („პსვ ეინდჰოვენი"), დენის გეორგიან შერბანი (ესპანური „ვალენსია") და 20 წლის ალან ტუდოს სტოიკა (ბრიუსელის „ანდერლეხტი"), რომელსაც დიდ მომავალს და ჰაჯის მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებენ.

თავდასხმაში ძირითადად, მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანებეს ილიე დუმიტრესკუმ და ფლორინ რადოჩოუმ, ბუკურელ ადრიან ილიესა (1974. 20.4. 180 სმ. 74 კგ. ესპანური „ვალენსია", 25 მატჩი, 6 გოლი) და დინუ ვიორელ მოლდოვანის (1972. 8.7. 177 სმ. 72 კგ. სტამბოლის „ფენერბახჩე" 30 მატჩი, 13 გოლი) წყვილი ითვლება. მოლდოვანმა ბევრი ითამაშა სხვადასხვა ევროპულ კლუბში, ზოგან წარმატებით, მაგრამ ამასობაში მიიღო დიდი გამოცდილება და ახლა „ფენერბახჩეს" ნამდვილი ლიდერია. შედარებით ახალგაზრდა ილიე უკვე რამდენიმე წელია „ვალენსიის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. შემთხვევით როდი მიიღო „კობრას" მეტსახელი. მოლდოვანისა და ილიეს გარდა ემერიხ ენეის განკარგულებაშია კიდევ რამდენიმე ძლიერი თავდამხმელი: ადრიან მუცუ, 21 წლის ფორვარდი, რომელიც მილანის „ინტერში" გამოდის, ფრიად გამოცდილი გეორგე კრაიოვიანუ (ესპანური „ვილიარეალი") და იონულ ვიოსელ განია ბუნდესლიგის „შტუტგარტი").

რუმინეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალისათვის მომზადების მიზნით რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა. ბოლო გაიმართა 26 აპრილს გეორგე ჰაჯის მშობლიურ ქალაქ კონსტანცაში კვიპროსის ნაკრებთან. რუმინელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: სტელია (ლობონტი), კონტრა, ჩობოტარიუ, ნანუ (ჩივუ), ლინკარი (ხოლდანი), გ. პოპესკუ, კარაბაში (ფილიპესკუ), დ. მუნტიანუ (როშუ), მოლდოვანი (განია), ჰაჯი, მუცუ.

27 მაისს რუმინელები ამსტერდამში ჩაატარებენ თავიანთ ბოლო საკონტროლო მატჩს ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ.

ბიძი გამრეკელი

## ემერიხ (იმრე) ენეი

**ემერიხ ენეი კარგა ხანია ერთ-ერთ წამყვან რუმინელ სპეციალისტად ითვლება. ისევე, როგორც ბევრი გამოჩენილი მწვრთნელი, იგი მაინცდამაინც ცნობილი ფეხბურთელი არა ყოფილა, მაგრამ მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ორ ქვეყანას: რუმინეთსა და უნგრეთს (ენეი ეროვნებით უნგრელია, აქედანაა მისი მეორე სახელი იმრე) შორის ნამდვილი გაწევ-გამოწევის მიზეზი გახდა.**

**ენეი დაიბადა 1937 წლის 28 მარტს. თამაშობდა „არადში", ბუქარესტის „ვიქტორიასა" და „სტიაუაში", ერთხანს თურქულ „კოჯაელისპორში". ეს ყველაფერი რა მოსატანია იმასთან, რაც შემდეგ ენეიმ მწვრთნელობის ასპარეზზე მიაღწია.**

**1975-76 და 1983-86 წლებში წვრთნიდა ბუქარესტის „სტიაუას". 1986 წელს, როცა ამ კლუბმა რუმინული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწია და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა, იგი მთავარ მწვრთნელ ანგელ იორდანესკუს ეხმარებოდა. ენეის ხელმძღვანელობით „სტიაუამ" ოთხჯერ მოიპოვა რუმინეთის ჩემპიონობა, სამჯერ კი ქვეყნის თასს დაეუფლა. 1986-1990 წლებში იგი სათავეში ედგა რუმინეთის ნაკრებს, და იგი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.**

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ენეის ცხოვრება ძალან გაურთულდა. უნგრეთის ფეხბურთის მესვეურებმა, რომლებმაც ვერაფრით შეძლეს თავიანთი ნაკრების მეტად გაჭიანურებული კრიზისიდან გამოყვანა, მიიწვიეს ენეი, როგორც მოგახსენეთ ეროვნებით უნგრელი. ჯერ იგი თითქოს კლუბ „დებრეცენის" კონსულტანტად დაინიშნა, მაგრამ, ცხადია, უნგრელების მიზანი სულ სხვა იყო. სულ მალე გავრცელდა ცნობა, რომ ენეიმ მიიღო წინადადება უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ. ამან რუმინეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ორი ქვეყანა „ცივი ომის" საშიშროების წინაშეც კი დადგა. ენეი რუმინეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. იგი განმარტებისათვის რუმინეთის თავდაცვის სამინისტროში გამოიძახეს და უნგრეთში გადასვლაზე ხელი აალებინეს. ამის შემდეგ იგი კვლავ „სტიაუას" დაუბრუნდა (1993-94), შემდეგ მუშაობდა ბერძნულ „პანიონისში" (1995), 1997-98 წლებში რუმინეთის სპორტის მინისტრი იყო, კვლავ „სტიაუაში" გააგრძელა საქმიანობა (1998-99).

ამასობაში რუმინეთის ნაკრებში დიდი ამბები დატრიალდა. მას ხელმძღვანელობდა გამოცდილი სპეციალისტი ვიქტორ პიცურკე, რომელმაც სახელი იმავე „სტიაუაში" მოიხვეჭა, ხუთჯერ მოიპოვა რუმინეთის ჩემპიონობა და ერთხელ ქვეყნის თასი. პიცურკე ნაკრებშიც მშვენივრად მუშაობდა – მისი ხელმძღვანელობით ხომ გუნდმა იოლად დასძლია ევროპის პირველობის შესარჩევი ბარიერი: 7 მატჩი მოიგო და 3 ფრედ დაასრულა. თითქოს მას უნდა ჰქონოდა პრეტენზია ესოდენ იღბლიანი მწვრთნელის მიმართ, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქმე ასე ადვილად არ ყოფილა. პიცურკეს დაუპირისპირდა ნაკრების გამოცდილი მოთამაშეების ჯგუფი, განსაკუთრებით კი „კარპატების მარადონა" გეორგე ჰაჯი, დან პეტრესკუ და გეორგე პოპესკუ. უთანხმოება ჯერ ყრუ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ერთი ტელეშოუს შემდეგ მდგომარეობა მეტად გამწვავდა. საქმე ის იყო, რომ ამ ტელეგადაცემაში პიცურკე და ჰაჯი მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პიცურკემ ისიც კი თქვა, რომ ნაკრები ჰაჯის დაუხმარებლადაც მიაღწევდა მიზანს, გავიდოდა ევროპის პირველობის ფინალში. მწვრთნელმა პოპესკუ და პეტრესკუც გააკრიტიკა, რითაც ამ პოპულარული ოსტატების მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების მოთმინების ფიალა აივსო. რა თქმა უნდა, პიცურკეს ბევრი მოწინააღმდეგე რუმინელ სპეციალისტებს, ე. ი. უშუალო კონკურენტებს შორისაც ჰყავდა.

დიახ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიცურკე თავისსავე ენამ დაღუპა. მოიწვიეს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც 12-მა წევრმა მოითხოვა მთავარი მწვრთნელის განთავისუფლება, მისი დატოვების მომხრე სულ ოთხი იყო. განთავისუფლებულ ადგილზე ენეი დანიშნეს, პიცურკემ კი იგი შეცვალა „სტიაუას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. 62 წლის ენეიმ დადო კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე.

ამას წინათ ემერიხ ენეის ჟურნალისტები ეწვივნენ.

● ***კმაყოფილი ხართ რუმინეთის ნაკრების გამოსვლით კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში?***

- დიახ, კმაყოფილი ვარ. მართალია, როცა ამ ტურნირში თამაში დაიგეგმა, მაშინ ნაკრებში არ ვმუშაობდი, მაგრამ სიამოვნებით მივიღე მასში მონაწილეობა. ჩვენთან თაობათა ცვლა მიმდინარეობს, ამიტომ ახალგაზრდებისათვის ამ ტურნირში მონაწილეობა უდავოდ სასარგებლო იყო. იმითაც, კმაყოფილი ვარ, რომ რუმინეთის ნაკრები გვერქვა და არა კლუბების ნაკრები, თუმცა ასეც შეგვეძლო გაგვეკეთებინა: ახალგაზრდობამ ასე უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო. თუკი იმათთაგან, ვინც ამ შეჯიბრებაში გამოვიდა, 4-5 მოთამაშე მაინც უახლოეს ხანებში ეროვნულ ნაკრებში აღმოჩნდება, თუნდაც ეს იქნება კვიპროსის ტურნირისაგან მიღებული სარგებლობა.

● ***რას იტყვით ევრო-2000-ის ჯგუფში თქვენი მეტოქეების შესახებ?***

- დავესწარი ინგლის-არგენტინის ნაკრებების მატჩს. ინგლისის ნაკრები მომეწონა. მას ინიციატივა ჰქონდა, „ფრთებს" კარგად იყენებდა. შეიძლება, ინგლისელებმა მაინცდამაინც ბევრი მომენტი ვერ შექმნეს, რადგან არგენტინელები ჩინებულად იცავდნენ თავს. ინგლისელების რამდენიმე ახალწვეულსაც გავეცანი.

● ***როგორ ადევნებთ თვალყურს უცხოეთში მოთამაშე ნაკრების ფეხბურთელებს?***

- ინგლისში ვიყავი „ჩელსის მატჩზე, რომელშიც დან პეტრესკუ მონაწილეობდა. მე და ჩემი თანაშემწეები, კიდევ რამდენიმე მატჩს დავესწრებით, სადაც ჩვენები ითამაშებენ, თუმცა, ბევრი შეხვედრის ნახვა სხვადასხვა ტელეარხითაც შეიძლება.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, 27 მაისს ამსტერდამში ჰოლანდიელებს შეხვდებიან, მზადებას ბუქარესტში ბერძნებთან 3 ივნისის შეხვედრით დაამთავრებენ.

ბიძი თორელი

## ბეკერი – «ბაიერნის» საკონსულტაციო საბჭოში

*განთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი „ბაიერნის" პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის მიწვევით ამ კლუბის საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახდა. უიმბლდონის სამგზის გამარჯვებული „ბაიერნის" ძველი გულშემატკივარია.*

*მას შემდეგ, რაც ჩოგბურთს თავი დაანება (თუმცა ვეტერანების შეჯიბრებაში მაინც მონაწილეობს), ბეკერი სპორტული მარკეტინგის სფეროში მოღვაწეობდა.*

# ევროპული ჩემპიონატები

### გერმანია ● XXXIII ტური

**ფრაიბურგი – კაიზერსლაუტერნი 2-1**
*გოლები:* პეტერსონი, 21 (0-1), სელიმი, 42 (1-1), კობიაშვილი, 59 (2-1).
**ბორუსია – შალკე 1-1**
*გოლები:* სანდი, 57 (0-1), ნიიპუსი, 82 (1-1).
*გაძევება:* ნემეცი, 26 (შ).
**ჰანზა – შტუტგარტი 1-4**
*გოლები:* განეა, 6 (0-1), გერბერი, 21 (0-2), ლისტეში, 46 (0-3), პინტუ, 67 (0-4), აგალი, 77 (1-4).
*გაძევება:* ბენკენი, 43 (ჰ), ბორდონი, 57 (შ).
**ულმი – ვოლფსბურგი 2-0**
*გოლები:* ზდრილიჩი, 9; ვან დერ ჰაარი, 87.
*გაძევება:* აკპობორი, 79 (ვ).
**ვერდერი – დუისბურგი 4-0**
*გოლები:* პიძარო, 4; ბოდე, 18; ჰ ერცოგი, 69 პენ. ჰერცოგი, 76.
**მიუნხენი – ჰერტა 2-1**
*გოლები:* შმიდტი, 21-საკ. კარში 1-0; მაქსი, 59 (2-0); დაეი, 77 (2-1).
**ჰამბურგი – უნტერჰახინგი 3-0**
*გოლები:* გროტი, 42; იუსალი, 50; პრეგერი, 89.
**არმინია – ბაიერნი 0-3**
*გოლები:* სალიჰამიჯიჩი, 28 ელბერი, 32, ელბერი, 42.
**ბაიერი – აინტრახტი 4-1**
*გოლები:* ნოივილი, 10 (1-0); კრახტი, 40 (1-1); კირსტენი, 56 (2-1); პაულო რინკი, 73 (3-1); ბაინლიხი, 80-პენ. (4-1).

### ბოლო ტურის წინ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერი | 33 | 21 | 10 | 2 | 74-34 | 73 |
| ბაიერნი | 33 | 21 | 7 | 5 | 70-27 | 70 |
| ჰამბურგი | 33 | 16 | 10 | 7 | 62-38 | 58 |
| მიუნხენი | 33 | 14 | 10 | 9 | 54-47 | 52 |
| ჰერტა | 33 | 13 | 11 | 9 | 39-43 | 50 |
| კაიზერსლაუტ. | 33 | 15 | 4 | 14 | 53-58 | 49 |
| ვერდერი | 33 | 13 | 8 | 12 | 64-49 | 47 |
| შტუტგარტი | 33 | 14 | 5 | 14 | 41-44 | 47 |
| ვოლფსბურგი | 33 | 11 | 13 | 9 | 49-57 | 46 |
| უნტერჰახინგი | 33 | 11 | 8 | 14 | 38-42 | 41 |
| ფრაიბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 44-48 | 40 |
| შალკე | 33 | 8 | 15 | 10 | 42-42 | 39 |
| ბორუსია | 33 | 8 | 13 | 12 | 38-38 | 37 |
| აინტრახტი | 33 | 11 | 5 | 17 | 40-43 | 36 |
| ჰანზა | 33 | 7 | 14 | 12 | 42-60 | 35 |
| ულმი | 33 | 9 | 8 | 16 | 35-60 | 35 |
| არმინია | 33 | 7 | 8 | 18 | 37-58 | 29 |
| დუისბურგი | 33 | 4 | 9 | 20 | 36-70 | 21 |


ლევან კობიაშვილი

*ბომბარდირები:* მაქსი („მიუნხენი") – 19; კირსტენი („ბაიერი") – 17; ელბერი („ბაიერნი"), სანდი, („შალკე") – 14-14.

### საფრანგეთი ● XXXIV ტური

**სედანი – მარსელი 2-2**
*გოლები:* ვერშოიერი, 34 (1-0), ლერუა,45 (1-1), ბაკაიოკო, 69 (1-2), უარი, 90 (2-2).
**ტრუა – პსჟ 2-2**
*გოლები:* ჯუკიჩი, 15-პენ. (1-0), რობერი, 20 (1-1), კრისტიანი, 36 (1-2), ჯუკიჩი, 40 (2-2).
**მონპელიე – ლიონი 2-2**
*გოლები:* სილვესტრი, 23 (1-0), ლეგლი, 28 (1-1), ანდერსონი, 44 (1-2), მაულიდა, 84 (2-2).
**ბასტია – ბორდო 1-1**
*გოლები:* ვილტორი, 59 (0-1), პრინსი, 86 (1-1).
*გაძევება:* პავონი, 89 (ბ), საველიჩი (ბ).
**სენტ-ეტიენი – მონაკო 3-1**
*გოლები:* ვალემი, 12 (1-0), სიმონე, 16 (1-1), კრისტანვალი, 20 საკ. კარში (2-1), გუეი, 43 (3-1).
**ჰავრი – ნანტი 0-1**
*გოლი:* ვაირუა, 26.
**ლანსი – სტრასბური 3-0**
*გოლები:* მორეირა, 52, ბრიუნელი, 64, მორეირა, 73.
*გაძევება:* ნჯანკა, 91 (ს).
**ნანსი – ოსერი 2-0**
*გოლები:* კასკარინო, 50. კასკარინო, 76.
**რენი მეცი 2-0**
*გოლები:* ბინე, 49. ლე რუ, 62.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 34 | 20 | 5 | 9 | 69-38 | 65 |
| პსჟ | 34 | 16 | 10 | 8 | 54-40 | 58 |
| ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 45-42 | 56 |
| ბორდო | 34 | 15 | 9 | 10 | 52-40 | 54 |
| ლანსი | 34 | 14 | 7 | 13 | 42-41 | 49 |
| სედანი | 34 | 13 | 9 | 12 | 44-43 | 48 |
| სენტ ეტიენი | 34 | 13 | 9 | 12 | 46-47 | 48 |
| ოსერი | 34 | 13 | 8 | 13 | 37-38 | 47 |
| სტრასბური | 34 | 13 | 7 | 14 | 42-52 | 46 |
| ბასტია | 34 | 11 | 12 | 11 | 43-39 | 45 |
| მეცი | 34 | 9 | 17 | 8 | 38-34 | 44 |
| ნანტი | 34 | 12 | 7 | 15 | 39-40 | 43 |
| რენი | 34 | 12 | 7 | 15 | 43-48 | 43 |
| ტრუა | 34 | 13 | 4 | 17 | 36-52 | 43 |
| მარსელი | 34 | 9 | 15 | 10 | 44-46 | 42 |
| ნანსი | 34 | 11 | 9 | 14 | 43-45 | 42 |
| ჰავრი | 34 | 9 | 7 | 18 | 30-52 | 34 |
| მონპელიე | 34 | 7 | 10 | 17 | 39-50 | 31 |

*ბომბარდირები:* ანდერსონი („ლიონი") – 23; ტრეზეგე („მონაკო") – 22; სიმონე („მონაკო") – 21; კრისტიანი (პსჟ) – 16.

### ინგლისი ● XXXVIII ტური

**ასტონ ვილა – მანჩესტერი 0-1**
*გოლი:* შერინგემი, 65.
**ბრედფორდი – ლივერპული 1-0**
*გოლი:* უოთეროლი, 12.
**ჩელსი – დერბი 4-0**
*გოლები:* ძოლა, 46; პოიეტი, 55; დი მატეო, 69; ფლო, 90.
**ევერტონი – მიდლსბრო 0-2**
*გოლები:* დინი, 8. ქუნინიო, 86.
**ნიუკასლი – არსენალი 4-2**
*გოლები:* სპიდი, 6 (1-0), კანუ, 7 (1-1), შირერი, 23 (2-1), მალცი, 53 (2-2), სპიდი, 59 (3-2), გრიფინი, 63 (4-2).
**შეფილდ უენ. – ლესტერი 4-0**
*გოლები:* ქუინი, 15. ბუთი, 41. ალექსანდერსონი, 50. დე ბილდე, 62.
**საუთჰემპტონი – უიმბლდონი 2-0**
*გოლები:* ბრიჯი, 57. პახარსი, 80.
**ტოტენჰემი – სანდერლენდი 3-1**
*გოლები:* ანდერტონი, 10-პენ. (1-0). მაკინი, 19 (1-1), შერვუდი, 73 (2-1). ქერი, 82 (3-1).
*გაძევება:* გრეი, 89 (ს).
**უოტფორდი – ქოვენთრი 1-0**
*გოლი:* ჰელგუსონი, 43.
**ვესტ ჰემი – ლიდსი 0-0**
*გაძევება:* ფოე, 90 (ვ).

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 38 | 28 | 7 | 3 | 97-45 | 91 |
| არსენალი | 38 | 22 | 7 | 9 | 73-43 | 73 |
| ლიდსი | 38 | 21 | 6 | 11 | 58-43 | 69 |
| ლივერპული | 38 | 19 | 10 | 9 | 51-30 | 67 |
| ჩელსი | 38 | 18 | 11 | 9 | 53-34 | 65 |
| ასტონ ვილა | 38 | 15 | 13 | 10 | 46-35 | 58 |
| სანდერლენდი | 38 | 16 | 10 | 12 | 57-56 | 58 |
| ლესტერი | 38 | 16 | 7 | 15 | 55-55 | 55 |
| ვესტ ჰემი | 38 | 15 | 10 | 13 | 52-53 | 55 |
| ტოტენჰემი | 38 | 15 | 8 | 15 | 57-49 | 53 |
| ნიუკასლი | 38 | 14 | 10 | 14 | 63-54 | 52 |
| მიდლსბრო | 38 | 14 | 10 | 14 | 46-52 | 52 |
| ევერტონი | 38 | 12 | 14 | 12 | 59-49 | 50 |
| ქოვენთრი | 38 | 12 | 8 | 18 | 47-54 | 44 |
| საუთჰემპტონი | 38 | 12 | 8 | 18 | 45-62 | 44 |
| დერბი | 38 | 9 | 11 | 18 | 44-57 | 38 |
| ბრედფორდი | 38 | 9 | 9 | 20 | 38-68 | 36 |
| უიმბლდონი | 38 | 7 | 12 | 19 | 46-74 | 33 |
| შეფილდ უენ. | 38 | 8 | 7 | 23 | 38-70 | 31 |
| უოტფორდი | 38 | 6 | 6 | 24 | 35-77 | 24 |

*ბომბარდირები:* ფილიპსი („სანდერლენდი") – 30; შირერი („ნიუკასლი") – 23; იორკი („მანჩესტერი") – 20.

### იტალია ● XXXIV ტური

**ბარი – ბოლონია 1-1**
*გოლები:* ოსმანოვსკი, 8 (1-0). სინიორი, 22-პენ. (1-1).
**კალიარი – ინტერი 0-2**
*გოლები:* რ. ბაჯო, 74-პენ. სამორანო, 87.
*გაძევება:* აბეიხონი, 65 (კ), მაიელი, 75 (კ).
**ფიორენტინა – ვენეცია 3-0**
*გოლები:* პიერინი, 8. ბატისტუტა, 18. ბატისტუტა, 80.
**ლაციო – რეჯინა 3-0**
*გოლები:* ს. ინძაგი, 33-პენ. ვერონი, 37-პენ. სიმეონე, 73.
**მილანი – უდინეზე 4-0**
*გოლები:* ბირჰოფი, 12, შევჩენკო 39-პენ. ვესტი, 59. ლეონარდო, 85.
**პარმა – ლეჩე 4-1**
*გოლები:* დი ვაიო, 2 (1-0), სტანიჩი, 54 (2-0), კრესპო, 57-პენ. (3-0). კ. ლუკარელი, 72 (3-1), სტანიჩი, 87 (4-1).
*გაძევება:* კონტიკიო, 38 (ლ).
**პერუჯა – იუვენტუსი 1-0**
*გოლი:* კალორი, 49.
*გაძევება:* ძამბროტა, 73 (ი).
**ტორინო – პიაჩენცა 2-1**
*გოლები:* ჯილარდინო, 15 (0-1), ფერანტე, 16 (1-1), ფერანტე, 29-პენ. (2-1).
**ვერონა – რომა 2-2**
*გოლები:* ტომაზი, 8 (0-1), ედმილტონი, 12 (1-1), მონტელა, 43 (1-2), კამარატა, 53 (2-2).

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 34 | 21 | 10 | 4 | 64-33 | 72 |
| იუვენტუსი | 34 | 21 | 8 | 5 | 46-20 | 71 |
| მილანი | 34 | 16 | 13 | 5 | 65-40 | 61 |
| ინტერი | 34 | 17 | 7 | 10 | 58-36 | 58 |
| პარმა | 34 | 16 | 10 | 8 | 52-37 | 58 |
| რომა | 34 | 14 | 12 | 8 | 57-34 | 54 |
| ფიორენტინა | 34 | 13 | 12 | 9 | 48-38 | 51 |
| უდინეზე | 34 | 13 | 11 | 10 | 55-51 | 50 |
| ვერონა | 34 | 10 | 13 | 11 | 40-45 | 43 |
| პერუჯა | 34 | 12 | 6 | 16 | 36-52 | 42 |
| რეჯინა | 34 | 9 | 13 | 12 | 31-42 | 40 |
| ბოლონია | 34 | 9 | 13 | 12 | 32-39 | 40 |
| ლეჩე | 34 | 10 | 10 | 14 | 33-49 | 40 |
| ბარი | 34 | 10 | 9 | 15 | 34-48 | 39 |
| ტორინო | 34 | 8 | 12 | 14 | 35-47 | 36 |
| ვენეცია | 34 | 6 | 8 | 20 | 30-60 | 26 |
| კალიარი | 34 | 3 | 13 | 18 | 29-54 | 22 |
| პიაჩენცა | 34 | 4 | 9 | 21 | 19-45 | 21 |

*ბომბარდირები:* შევჩენკო („მილანი") – 24; ბატისტუტა („ფიორენტინა") – 23; კრესპო („პარმა") – 22.

### ესპანეთი ● XXXVII ტური

**ატლეტიკო – სევილია 1-1**
*გოლები:* უგო ლეალი, 31 (1-0), ცარტასი, 44 (1-1).
**რაიო ვალეკანო – ოვიედო 1-2**
*გოლები:* კანაბალი, 16 (1-0), დუბოვსკი, 40 (1-1), ივან ანია, 78 (1-2).
**ვალიადოლიდი – მალიორკა 2-1**
*გოლები:* კამინერო, 70 (1-0), დომინგესი, 74 (1-1), საკრისტანი, 90 (2-1).
**ალავესი – ნუმანსია 2-2**
*გოლები:* ბარბუ, 35 (0-1), ნავარო, 70 (0-2), გომესი, 82 (1-2), ასკოიტია, 86 (2-2).
**ესპანიოლი – ატლეტიკი 0-0**
**რასინგი – დეპორტივო 0-0**
**სარაგოსა – მალაგა 3-2**
*გოლები:* რუფეტე, 29 (0-1), მარკოს ვალესი, 30 (1-1), პაკო ხემესი, 62 საკ. კარში (1-2), იორდი, 86 (2-2), მილოშევიჩი, 89 (3-2).
**სელტა – ვალენსია 0-0**
**სოსიედადი – ბარსელონა 0-0**
**ბეტისი – რეალი 0-2**
*გოლები:* რობერტო კარლოსი, 31. ანელკა, 66.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 37 | 20 | 6 | 11 | 64-44 | 66 |
| ბარსელონა | 37 | 19 | 6 | 12 | 68-44 | 63 |
| სარაგოსა | 37 | 16 | 15 | 6 | 59-38 | 63 |
| რეალი | 37 | 16 | 14 | 7 | 58-47 | 62 |
| ვალენსია | 37 | 17 | 10 | 10 | 57-38 | 61 |
| ალავესი | 37 | 17 | 10 | 10 | 40-35 | 61 |
| სელტა | 37 | 15 | 7 | 15 | 43-41 | 52 |
| მალიორკა | 37 | 14 | 9 | 14 | 51-43 | 51 |
| ვალიადოლიდი | 37 | 13 | 11 | 13 | 35-44 | 50 |
| რაიო ვალეკანო | 37 | 14 | 7 | 16 | 48-51 | 49 |
| ატლეტიკი | 37 | 11 | 14 | 12 | 45-56 | 47 |
| მალაგა | 37 | 11 | 14 | 12 | 55-50 | 47 |
| ესპანიოლი | 37 | 12 | 11 | 14 | 51-46 | 47 |
| ნუმანსია | 37 | 11 | 12 | 14 | 46-57 | 45 |
| რასინგი | 37 | 10 | 15 | 12 | 52-50 | 45 |
| ოვიედო | 37 | 11 | 12 | 14 | 44-59 | 45 |
| სოსიედადი | 37 | 10 | 14 | 13 | 41-49 | 44 |
| ბეტისი | 37 | 10 | 9 | 18 | 31-55 | 39 |
| ატლეტიკო | 37 | 8 | 11 | 18 | 46-63 | 35 |
| სევილია | 37 | 5 | 13 | 19 | 40-64 | 28 |

*ბომბარდირები:* სალვა ბალესტა („რასინგი") – 27; კატანია („მალაგა"), ჰასელბანკი („ატლეტიკო") – 24-24; მაკაი („დეპორტივო") – 21.

### უკრაინა ● XXIV ტური

**დინამო – შახტიორი 2-1**
**მეტალურგი (ზ) – პრიკარპატიე 2-2**
**ვორსკლა – მეტალურგი (მ) 1-1**
**კრივბასი – ნივა 5-1**
**ცსკა – დნეპრი 3-0**
**ტავრია – მეტალისტი 2-2**
**ზირკა – კარპატი 0-2**
**მეტალურგი (დ) – ჩერნომორეცი 4-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 22 | 2 | 0 | 67-13 | 68 |
| კრივბასი | 24 | 15 | 6 | 3 | 46-22 | 51 |
| შახტიორი | 24 | 15 | 3 | 6 | 40-12 | 48 |
| ვორსკლა | 24 | 12 | 7 | 5 | 44-23 | 43 |
| მეტალისტი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-31 | 35 |
| მეტალურგი (ზ) | 24 | 9 | 8 | 7 | 32-24 | 35 |
| მეტალურგი (დ) | 24 | 9 | 8 | 7 | 28-25 | 35 |
| კარპატი | 24 | 11 | 1 | 12 | 32-30 | 34 |
| მეტალურგი (მ) | 24 | 9 | 3 | 12 | 35-39 | 30 |
| ცსკა | 24 | 7 | 7 | 10 | 25-29 | 28 |
| დნეპრი | 24 | 6 | 7 | 11 | 19-41 | 25 |
| ტავრია | 24 | 6 | 7 | 11 | 28-39 | 25 |
| პრიკარპატიე | 24 | 6 | 7 | 11 | 21-35 | 25 |
| ჩერნომორეცი | 24 | 5 | 5 | 14 | 11-40 | 20 |
| ნივა | 24 | 4 | 8 | 12 | 28-51 | 20 |
| ზირკა | 24 | 0 | 8 | 16 | 11-47 | 8 |

### რუსეთი ● VIII ტური

**ლოკომოტივი (მ) – დინამო 1-0**
**კრილია სოვეტოვი – ლოკომოტივი (ნ.ნ.) 2-1**
**სპარტაკი – ანჟი1-0**
**ფაკელი – როტორი 2-2**
**როსტსელმაში – ტორპედო 0-1**
**ალანია – ჩერნომორეცი 1-0**
**ურალანი – სატურნი 1-2**
**ცსკა – ზენიტი 4-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 8 | 7 | 1 | 0 | 18-4 | 22 |
| ლოკომოტივი (მ) | 8 | 7 | 1 | 0 | 11-0 | 22 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 8-3 | 15 |
| დინამო | 8 | 4 | 2 | 2 | 5-5 | 14 |
| ანჟი | 8 | 4 | 1 | 3 | 7-6 | 13 |
| ჩერნომორეცი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-3 | 12 |
| სატურნი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-16 | 11 |
| როტორი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-16 | 11 |
| როსტსელმაში | 8 | 2 | 4 | 2 | 6-5 | 10 |
| ფაკელი | 8 | 2 | 4 | 2 | 11-12 | 10 |
| კრილია სოვეტ. | 8 | 3 | 0 | 5 | 8-10 | 9 |
| ზენიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| ურალანი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-9 | 5 |
| ალანია | 8 | 1 | 2 | 5 | 7-13 | 5 |
| ცსკა | 8 | 1 | 1 | 6 | 5-12 | 4 |
| ლოკომოტივ.(ნნ) | 8 | 0 | 4 | 4 | 4-8 | 4 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## პირველი ათეული ასეთია

ფიფას სამდივნომ ციურიხში გამოაქვეყნა უძლიერესი ნაკრებების რეიტინგ-ლისტი, პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ბრაზილია – 830 ქულა. ჩეხეთი – 758. 3. საფრანგეთი – 751. 4. ესპანეთი – 730. 5. არგენტინა – 728. 6. გერმანია – 717. 7. ხორვატია – 708. 8-9. მექსიკა და ნორვეგია – 704. 10. რუმინეთი – 701.

## ოვერმარსი – „ბარსელონაში"

ლონდონის „არსენალში" მოთამაშე ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი ახალი სეზონიდან „ბარსელონაში" ითამაშებს. ეს, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ ლონდონის „მეთოფეთა გუნდში" ბევრი მაღალი კლასის თავდამსხმელია და ოვერმარსს ხშირად არ უხდებოდა ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა. მეორე მხრივ, კიდევ ერთი ჰოლანდიელის გადასვლა „ბარსელონაში", რომელიც მეტწილად ისედაც ჰოლანდიელებისგან შედგება, იმაზე მიუთითებს, რომ წლევანდელი მარცხის მიუხედავად კატალონიური კლუბის დირექტორატი მთლიანად ენდობა მწვრთნელ ლუის ვან გაალს.

## 10 მატჩი – „მშრალად"

10 მატჩი უგოლოდ რუსეთის ჩემპიონატში (8 ამ პირველობაზე და 2 – შარშანდელში) – ასეთია მოსკოვის „ლოკომოტივის" მეკარე რუსლან ნიგმატულინის მიღწევა.

მან გააუმჯობესა რუსეთის ჩემპიონატების რეკორდი, რომელიც ეკუთვნოდა მოსკოვის „ტორპედოს" მეკარე ვლადიმირ პჩელნიკოვს, რომელმაც 1995 წელს 8 თამაში (769 წუთის განმავლობაში) კარი „მშრალად" შეინახა.

## პატიოსნად ითამაშებ, ადგილსაც მიიღებ

რუსეთმა შეიძლება კიდევ ერთი ადგილი მიიღოს მომავალი სეზონიდან უეფას თასზე. საქმე ის არის, რომ უეფა ევროთასზე დამატებით ადგილებს ანიჭებს Fair Play-ს ლაურეატებს. ნომინანტებს შორის 14 ქვეყანაა, მათ შორის რუსეთიც. ერთი დამატებითი ადგილი უკვე მიეკუთვნა ფინეთს, რომლის გუნდები ევროტურნირებში ყველაზე უფრო კორექტულები იყვნენ. რჩება კიდევ ორი ადგილი. მათი პრეტენდენტების წილისყრა 9 ივნისს ბრიუსელში ჩატარდება.

## გულშემატკივრები ცრემლმდენი გაზით „დაამშვიდეს"

რომის პოლიციამ ცრემლმდენი გაზით „დაამშვიდა" „ლაციოს" ათასამდე გულშემატკივარი, რომლებიც იტალიის ფედერაციის შენობასთან მიიჭრნენ და თავიანთი აღშფოთება გამოთქვეს ტურინის „იუვენტუსისა" და „პარმას" მატჩის მსაჯობის გამო. ამ შეხვედრაში მსაჯმა მასიმოდე სანტისმა არ ჩათვალა პარმელ ფაბიო კანავაროს მიერ ყოველგვარი წესის დაცვით გატანილი გოლი და ამით „იუვენტუსს" გაამარჯვებინა.

## ფინალში: კიევის „დინამო" და კრივოი როგის „კრივბასი"

27 მაისს კიევის ოლიმპიურად წოდებულ სტადიონზე გაიმართება უკრაინის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან კიევის „დინამო" და კრივოი როგის „კრივბასი".

ნახევარფინალურ მატჩში „კრივბასმა" დაძაბულ ბრძოლაში სძლია კიროვოგრადის „ზვეზდას" – 2-1. კიევის „დინამომ" – ზაპოროჟიეს „მეტალურგს" – 6-1. გიორგი დემეტრაძემ მე-60 წუთზე შეცვალა რებროვი, როცა ანგარიში იყო 3-1. ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანა მეოთხე (პენალტით) და მეხუთე გოლები.

## „ფეხბურთი კი არა, თავისუფალი ჭიდაობა იყო"

რუსული პრესა აღნიშნავს ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობის დაბალ დონეს. არაერთ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მწვრთნელებიც.

მას შემდეგ, რაც ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი" საკუთარ მინდორზე „როსტსელმაშთან" დამარცხდა – 1-2, მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ ჟურნალისტებს განუცხადა:

– რა არის აქ სათქმელი? ეს იყო წინასწარგანზრახული „მკვლელობა". 4 პენალტიდან მსაჯმა მხოლოდ 1 დანიშნა. ჩვენს ყველა შეტევას დაუშვებელი, უხეში ხერხებით აჩერებდნენ. ეს ფეხბურთი კი არა იყო, არამედ თავისუფალი ჭიდაობა.

## ძოლა „ფენერბახჩეში" გადადის

„ჩელსის" ცნობილმა იტალიელმა თავდამსხმელმა ჯანფრანკო ძოლამ, გააფორმა ახალი კონტრაქტი სტამბოლის „ფენერბახჩესთან". თურქულმა მხარემ 34 წლის ფორვარდში 2,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. საინტერესოა, რომ ძოლას ჯერაც არ დაუმთავრებია „ჩელსისთან" კონტრაქტი, მაგრამ მან დაარწმუნა „არისტოკრატთა კლუბის" ხელმძღვანელობა სტამბოლში გადასვლაზე ხელი არ შეეშალა მისთვის.

## გასქოინი ავსტრალიაში „გაანათხოვრეს"

განთქმული პოლ გასქოინის კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ინგლისური „მიდლსბრო" დათანხმდა იჯარით იგი გადასცეს ავსტრალიურ კლუბ „იუნდელაპ სიტის". ამ კლუბში გამოდის ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ყოფილი მოთამაშე კრის უოდლი.

საინტერესოა, რომ ამ კლუბში გადასვლაზე გასქოინი იმიტომ დათანხმდა, რომ ავსტრალიელები ფეხბურთელს დაპირდნენ ყველა პირობა შეუქმნან, რათა მან კარგად... ითევზაოს.


პოლ გასქოინი – მარჯვნივ

## „ნაპოლი" ბაჯოს იწვევს

იტალიის ყოფილი ჩემპიონი „ნაპოლი", სადაც ადრე მარადონა და კარეკა გამოდიოდნენ, ახლა „სერია B"-ში თამაშობს და უმაღლეს დივიზიონში გადასვლის იმედი აქვს. მან გადაწყვიტა ახალი სეზონიდან სახელგანთქმული რ. ბაჯო მიიწვიოს, რომელსაც, ფაქტობრივად, გაუცდა ეს წელი „ინტერში". ბაჯომ განაცხადა, რომ შეიძლება დაეთანხმოს კიდეც „ნაპოლის".

გარდა ამ კლუბისა, ბაჯოს იწვევს „ვიჩენცა", რომელიც ახლა პირველ ადგილზეა „სერია B"-ში, აგრეთვე იაპონური და ავსტრალიური კლუბები.

## მწვრთნელებს „ტყაპა-ტყუპით" ხსნიან

რუსეთის ჩემპიონატში სულ 8 ტური გათამაშდა, მაგრამ უკვე რამდენიმე მწვრთნელის „სკამი" შეირყა. პირველი დაეცა პეტერბურგის „ზენიტის" მწვრთნელი ანატოლი დავიდოვი, მრავალნაცადმა იური მოროზოვმა შეცვალა. შემდეგ თანამდებობა დატოვა ვლადიკავკაზის „ალანიას" მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა, რომელსაც ახლა დროებით ყოფილი მეკარე ალექსანდრ იანოვსკი ცვლის.

და აი, კიდევ ერთი „დაცემა". როგორც კი ელისტის „ურალანმა" მოსკოვში „დინამოსთან" წააგო – 0-1, კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაი შოვგუროვმა მყისვე განუცხადა მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ავერიანოვს, რომ იგი განთავისუფლებულია. ახლა ავერიანოვს ვლადიმირ დერგაჩი ცვლის.

## „ზენიტი" ელევა საუკეთესო მოთამაშეებს

კარგი არაფრით აიხსნება ის, რომ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" იძულებულია შეელიოს თავის საუკეთესო მოთამაშეებს.

თავდამსხმელი ალექსანდრ პანოვი, რომლის შესანიშნავი თამაშის წყალობითაც რუსეთის ნაკრებმა პარიზში, „სტარ დე ფრანსზე" სძლია მსოფლიო ჩემპიონებს – ფრანგებს, გადადის ფრანგულ „სენტ-ეტიენში". ამავე გუნდის წევრი გახდება „ზენიტისა" და სომხეთის ნაკრების მეკარე, ერთ-ერთი საუკეთესო რუსეთის ლიგაში რომან ბერეზოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამა

**პროექტის განხილვა**

ჩვენს გაზეთში ზემოხსენებული პროგრამის გამოქვეყნებისთანავე, იმავე დღეს შეგვეხმიანა რამდენიმე ფეხბურთის გულშემატკივარი, ვიმეორებთ, ჯერჯერობით მხოლოდ გულშემატკივარი და არა სპეციალისტი. თუმცა, ვფიქრობთ, არც მათი ყურადღების მიღმა დარჩება ეს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი. გულშემატკივარი კი, მოგეხსენებათ, მუდამ ემოციურია, სულ ჩქარობს, მეტი სურს, მეტ დაინტერესებას იჩენს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯისადმი.

ნამდვილად არ მოველოდით თუ პროგრამის პროექტს უმალვე ასეთი გამოხმაურება მოჰყვებოდა. თუმცა უნდა გითხრათ, რამდენიმე სატელეფონო ზარი ჩვენი საზოგადოებრიობის იმ ერთი ნაწილის აზრის გამომხატველი იყო, რომლებსაც ხელი აქვთ ჩაქნეული ყველაფერზე და არანაირი პროგრამა-დაპირებების აღარ სჯერავთ. რას იზამ გაუთავებელ დუხჭირ ცხოვრებას, რომ გულგატეხილობა სდევდეს, რა გასაკვირია. და მაინც:

**„ჩემი აზრით, პროგრამა კი არა, კანონი უნდა იქნეს პარლამენტში მიღებული, ასე უფრო მყარი იურიდიული საფუძველი ექნება თქვენს მიერ გამოქვეყნებულ პროგრამას“** *(მარლენ დევაძე, იურისტი, თბილისი).*

**„ჩემი აზრით, პროგრამას უნდა დაემატოს საფეხბურთო სკოლების და ბაზების ატესტაცია“** *(ნოდარ მარდალეიშვილი, თბილისი).*

**„ძალიან ბევრი საკითხია პოგრამაში ისეთი, რომელიც ისედაც ევალება თავისი წესდებით ფეხბურთის ფედერაციას თუ კლუბებს. მაშ, რაღა საჭიროა მათი შეტანა ასეთ სახელმწიფო დოკუმენტში. საბოლოო შეჯერების დროს დაიდეთ გვერდი-გვერდ წესდება და ეს პროგრამა, შეადარეთ ერთმანეთს და ბევრ მსგავსებას დაინახავთ. გაცხრილეთ, და, იყოს მოცულობით პატარა, მაგრამ მნიშვნელობით დიდი დოკუმენტი“** *(გვარს არ ასახელებს).*

**„გამაოცა მე-5 თავის მეორე მუხლმა – „ფიფასა და უეფას ეგიდით მოწყობილ „პროგრეს კურსებში“ მწვრთნელთა და მსაჯთა აქტიურად ჩართვა“. თქვენს გაზეთში არაერთხელ წამიკითხია, რომ ასეთი კურსები მუშაობს და იგზავნებიან კიდეც სასწავლებლად ჩვენი მწვრთნელები. იმის თქმა მინდა, რომ პროგრამაში ამის შეტანა სულაც არ არის საჭირო. რა, თუ პროგრამაში არ დააფიქსირეთ, ფიფა-უეფა უარს გეტყვით სწავლაზე? ასეთი ლაფსუსები, სამწუხაროდ, ბევრია პროგრამის პროექტში“** *(ლევან ტაბუცაძე, თბილისი).*

**„ძალიან გთხოვთ, ვეტერან ფეხბურთელთა სოციალური დაცვის პროგრამაში შეიტანეთ ის, რაც რეალურია, არ არის საჭირო უსაფუძვლო დაპირებები. კარგი იქნება თუ ყველა საფეხბურთო სკოლა და კლუბი, ყველა მწვრთნელი და ფეხბურთელი წელიწადში გაიღებს თუნდაც იმდენს, რამდენსაც ადრე როგორც „ტყის მეგობარს“ გვახდევინებდნენ. უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი, თაობებმა ჯეროვანი პატივი უნდა მიაგონ, ვინც მათზე ადრე ილწვოდა ქართულ ფეხბურთში. კარგი იქნება თუ ეს ტრადიციად დამკვიდრდება. ფაქტობრივად რა გამოდის, ისევ თავისი თავისთვის გაიღებს თითოეული, რაკი ხანდაზმულობისას მასაც გაუწევენ შემწეობას** *(გრიგოლ ხოზრევანიძე, პენსიონერი)...*

# 19-20-21 მაისი. ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლე. მსოფლიოს ღია ჩემპიონატი საეჯლისო სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასი-2000“ (IDSF OPEN)



მონაწილეობენ: საქართველოს, აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, ბელარუსიის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის საუკეთესო მოცეკვავე წყვილები და გუნდები. საჩვენებელი გამოსვლით გამოვა ამერიკის შეერთებული შტატების კონკურსების მრავალგზის გამარჯვებული წყვილი გოჩა ჩერტკოევი და შორენა გაჩეჩილაძე (აშშ, ტეხასი, დალასი)
ბილითები გაიყიდება ტურნირის დღეებში კალათბურთის სასახლეში.
დასაწყისი: 11 და 17 საათზე.

# ქართული სპორტის წლიურ ბიუჯეტზე ორჯერ მეტს თურქეთში თვეში სთავაზობენ ერთ ფეხბურთელს

გახსოვთ ალბათ, ჩვენში, როგორი გაკვირვება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მეზობელ თურქეთში მხოლოდ კალათბურთის განვითარებაზე წელიწადში 6 მილიონი აშშ დოლარი იხარჯება. ფეხბურთზე აღარაფერს ვამბობთ, თურქეთი უკვე ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელთა ორიენტაციის ქვეყნადაც იქცა. აი სულ ახალი ამბავი: ინგლისის „ჩელსის“ იტალიელ ფეხბურთელს, 34 წლის ჯან-ფრანკო ძოლას თურქეთის „ფენერბახჩეში“ მოუსურვებია გადასვლა, სულ მალე 20 მაისს კი ყველაფერს საბოლოოდ მოეფინება ნათელი. თურქეთის პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძოლას „ფენერბახჩეში“ 2,5 მილიონ დოლარს გადაუხდიან წელიწადში. ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს, რადგან ის ჯერ მხოლოდ შეთავაზებაა თურქეთის მხრიდან.

მაშ ასე, ერთ ფეხბურთელს წელიწადში 2,5 მილიონ აშშ დოლარს უხდიან ჩვენს უახლოეს მეზობელ ქვეყანაში, საქართველოში კი მთელი ქართული სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად მხოლოდ მილიონზე ცოტა მეტი დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტაა გამოყოფილი. თუმცა, როგორც გასულმა წლებმა დაამტკიცა, ბიუჯეტიდან ამ თანხის სრული მიღებაც არაა გარანტირებული.

# ევროლიგა 2000/01

კალათბურთელ ვაჟთა ევროლიგის 2000301 გამარჯვებულის სახელს შეეცილებიან: საბერძეთი, იტალია, ლიტვა – 3-3 გუნდი, ესპანეთი, ხორვატია, ისრაელი – 2-2; თურქეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, რუსეთი, გერმანია, სლოვენია, პოლონეთი – თითო.

შეგახსენებთ, რომ ევროლიგა 9932000 ორ ფინალისტთან ერთად და ფიბას რეიტინგით ლიდერებს (I-IV ადგილებს, 2-2, V-XII ადგილებს – თითო საგზური ხვდათ). ამ სეზონში 4 ადგილი ერგებათ საპორტის თასის გათამაშების ნახევარფინალისტებს: ლიტვა, იტალია, საბერძნეთი და ხორვატია.

# რა ხდება ქვეყანაზე

## რეკორდსმენის გამოსვლა საეჭვოა

28 წლის მაროკოელი სტაიერი ჰალიდ ჰანუჩი მსოფლიო რეკორდსმენია მარათონულ რბენაში (2:05.42), რომელიც შარშან ოქტომბერში, ჩიკაგოს ტრადიციულ მარათონში დაამყარა. ამას წინათ ამერიკის მოქალაქე გახდა. იგი შვიდი წლის წინათ გამოვიდა უკანასკნელად მაროკოს სახელით სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე. მას მერე ცხოვრობს და ვარჯიშობს აშშ-ში. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქალაქეობის საკითხი გადაწყვეტილია, პერსპექტივა მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძლიერესი მარათონელის მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის სახელით გამოსვლისა საეჭვოა. შეიძლება მას წინ აღუდგეს მარტო მაროკოს ეოკ-ი კი არა, სოკ-იც. მაროკოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ა. ელ-ეაზულიმ უკვე განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია ყოველმხრივ აღუდგება ჰანუჩის გამოსვლას სიდნეი-2000-ზე, თუმცა იააფ-ის გენერალურმა მდივანმა ჟორჟო რაინერიმ განმარტა, რომ საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა სტაიერს არ ელის: იააფ-ის წესდების თანახმად, სპორტსმენს ნება აქვს დაიცვას იმ ქვეყნის ღირსება, როგორც კი მის მოქალაქეობას მიიღებს, თუ, სულ ცოტა 3 წელიწადი არ გამოსულა წინანდელი ქვეყნის სახელით.

## აშშ-ის ნაკრები „უიმედოდ“ დარჩება

სერიოზული ტრავმა მიიღო „დეტროიტ პრისტონისა“ და აშშ-ს ნაკრების ერთად ერთმა იმედმა სიდნეის ოლიმპიადაზე გრენტ ჰილმა. ექიმები დიდხანს სინჯავდნენ კალათბურთელს და დაადგინეს ფეხის სპეციფიკური მოტეხილობა, რის შედეგადაც ძვალმა ადგილი შეიცვალა. დადგინდა, სპორტსმენის გამოჯანმრთელებისათვის ექიმებს სულ ცოტა, ორი თვე დასჭირდებათ. ისე რომ,




გრენტი შეიძლება მარტო სეზონს კი არა, რომელიც საცაა დამთავრდება, ოლიმპიურ თამაშებსაც გამოემშვიდობოს.

## სუპერკლუბების კომერციული იერიში

ევროპის საკალათბურთო საბჭოს ლიგის სათავეში მყოფმა საბერძნეთის სუპერკლუბებმა კომერციული იერიში მიიტანეს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაზე (ფიბა), რისი მიზეზიც მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება და მისგან შემოსული თანხების განაწილება გახლდათ. მაგრამ მიიღეს რა უარი, საბრძოლო „მოქმედება“ ქვეყნის შიგნით გადაიტანეს.

ქვეყნის ათი კლუბის ხელმძღვანელმა უკმაყოფილება გამოთქვეს ერთი წლის წინათ სახელმწიფო ტელეკომპანიებთან ხელმოწერილი კონტრაქტის პირობებზე და გადაწყვიტეს საერთო ევროპულ სპორტულ არხთან დადონ ხელშეკრულება. ასეთ გადაწყვეტილებას ბიძგი მისცა ქვეყნის მიერ მიღებულმა კანონმდებლობამ, რომლის ძალითაც ყოველ სუბიექტს უფლება აქვს დამოუკიდებლად განაგებდეს „ტელესურათს“.

„ოლიმპიაკოსმა“, აეკ-მა, პაოკ-მა უკვე განაცხადეს, რომ მალე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელ კომპანიებს მისცემენ მატჩების ტრანსლაციის უფლებას საბერძნეთის ლიგის ხელმძღვანელთა მითითების გვერდის ავლით. მათ მაგალითს მიბაძავს ევროპის საკლუბო ჩემპიონი „პანათინაიკოსი“. ამასთან, გუნდები ერთიანად კი არა, ცალ-ცალკე გაჰყიდიან ტრანსლაციის უფლებას.

ეს სარფიანი იქნება სახელოვანი კლუბებისათვის, როგორებიცაა „პაო“ და აეკი — ევროთასების მფლობელები, — „ოლიმპიაკოსი“ ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი, აგრეთვე პაოკ-ი, რომელსაც უამრავი ქომაგი ჰყავს მაკედონიასა და ჩრდილო საბერძნეთში.

# თბილისის მოსწავლეთა 54-ე სპარტაკიადა



**მინიფეხბურთი.** შეჯიბრებაში, რომელიც 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზაზე გაიმართა, დედაქალაქის ათივე რაიონის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა იასპარეზეს. ადგილები ასე განაწილდა: ***ჭაბუკები.*** 1. საბურთალო, 2. ვაკე, 3. ნაძალადევი, 4. ჩუღურეთი, 5. სამგორი, 6. კრწანისი, 7. დიდუბე, 8. ისანი, 9. მთაწმინდა, 10. გლდანი. ***გოგონები:*** 1. კრწანისი, 2. ნაძალადევი, 3. გლდანი, 4. ვაკე. 5. ჩუღურეთი, 6. საბურთალო, 7. სამგორი, 8. ისანი, 9. მთაწმინდა, 10. დიდუბე.

*სურათზე: გოგონათა შორის გამარჯვებული კრწანისის რაიონის ნაკრები. (მწვრთნელები გივი მამულაშვილი, კახა სხირტლაძე); შეჯიბრების მომენტი.*

მიძღვნილი ღია პირველობა ჩატარდება „ტაიკვანდოში“.



*სერგო ბაგოიანის ფოტოები*

# ჭადრაკის ამბები

## ზვიად იზორიას დიდი მომავალს უწინასწარმეტყველებენ

მოსკოვის ჟურნალმა „64"-მა ვრცელი მიმოხილვა მიუძღვნა გარი კასპაროვის ინიციატივით გამართულ ჭაბუკთა ყოველწლიურ ტურნირს.

ამჯერად, ადრინდელისაგან განსხვავებით, ჭაბუკებთან ერთად ასპარეზობაში, ასე ვთქვათ, გამომცდელების როლში მონაწილეობდა ორი ცნობილი დიდოსტატი: რატმირ ხოლმოვი და იგორ ზაიცევი. პირდაპირ ვთქვათ, ამ მოჭადრაკეებს ჭაბუკებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. დიდოსტატებმა 11 შესაძლებლიდან მხოლოდ 6-6 ქულა მოაგროვეს და საბოლოოდ მე-5-6 ადგილები გაიყვეს.

ტურნირზე გამოცხადებული იყო საერთაშორისო ოსტატის ბალის ნორმა (7 ქულა 11-დან). ძალიან მალე გაირკვა, რომ ჭაბუკების დიდი უმრავლესობისათვის იგი, უბრალოდ, მიუწვდომელი იქნებოდა.

შეჯიბრება ყველაზე ძლიერად ჩვენი მკითხველებისათვის კარგად ცნობილმა ზვიად იზორიამ (დაიბ. 1984 წლის 6 იანვარს) წარმართა. იგი ტურნირს თავიდან ბოლომდე ლიდერობდა (ახლა, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს), 9 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოსული ვლადიმირ ბელოვი მას მთელი ქულანახევრით ჩამორჩა.

აი, რა განაცხადეს ქართველი ჭაბუკის შესახებ ტურნირში მონაწილე დიდოსტატებმა:

*იგორ ზაიცევი* — ყველაზე უკეთ იზორია გამოიყურებოდა. მისი თამაში ყველაზე უფრო ბალანსირებულია და პარტიის ყველა სტადიაში თავს დარწმუნებულად გრძნობს.

*რატმირ ხოლმოვი* — ქართველ ყმაწვილს დიდი მომავალი აქვს. მას უკვე თითქმის ყველაფერი შეუძლია.

# ბადრი მაქაცარია

**ხსოვნა**



ვარდობისთვეა, მაგრამ უშენოდ თითქოს ვარდებიც ვეღარ ვარდობს თბილისში. 15 მაისს მხოლოდ 25 წლის გახდებოდი, ბადრი! ხანმოკლე ყოფილა შენი ლამაზი სიცოცხლე.

საოცრად თბილი, მოსიყვარულე, სულით ხორცამდე ქართველი, მეგობრებზე შეყვარებული, ძალიან ვაჟკაცური, — ასეთი ახსოვხარ ყველას.

ერთგული და უღალატო, რჩეულთა შორის გამორჩეული, სწორედ ამიტომაც გამოგარჩია ალბათ უფალმა და წაგვართვა შენი თავი.

გაუსაძლისი ტკივილი მიაყენე შენს ოჯახს, მეგობრებს. მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვე ყველას, ვინც გიცნობდა და ვისაც შენი სახელი გაუგონია.

სიცოცხლე გიყვარდა და სრულყოფისაკენ ისწრაფოდი, დღენიადაგ თავდაუზოგავად ვარჯიშობდი, ამიტომაც რამდენჯერმე იყავი საქართველოს ჩემპიონი „ტაიკვანდოში". მიღებული გქონდა პირველი დანი, საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი მოიპოვე. სწორედ სპორტის ამ სახეობის დიდმა სიყვარულმა და ერთგულებამ განაპირობა შენი არჩევა საქართველოს ტაიკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტად. შენ სპორტული ფედერაციის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი იყავი მსოფლიოში და მონიჭებული გქონდა მუდმივი პრეზიდენტის უფლება, ვიდრე თავად არ დატოვებდი ადგილს. თითქოს ცუდად გაიგე ეს და სამუდამოდ მიგვატოვე.

მაგრამ შენი სახელი უკვალოდ არ გამქრალა, შენს მონატრებას, ტკივილს, მხოლოდ შენთვის დანთებული წმინდა სანთლებით და შენი გახსენებით დავიამებთ.

21 მაისს გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში შენი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ჩატარდება „ტაიკვანდოში".

შენი სასიკეთო საქმეები, შენი ვაჟკაცური ბუნება მუდამ ჰპოვებს გაგრძელებას შენს მეგობრებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო,**
**საქართველოს ტაიკვანდოს ეროვნული ფედერაცია.**

## „ტოტო-ლოტო"

მე-18 ტირაჟის შედეგები – 14.05.2000

### ლოტო 6-42

**3 12 16 21 38 39**

გათამაშებაში მონაწილეობდა 9368 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 25 521.00 ლ. | გადადის მე-19 ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 1 x | 888.50 ლ. | |
| 4 რიცხვი | 15 x | 15.60 ლ. | |
| 3 რიცხვი | 190 x | 2.10 ლ. | |

### სუპერ 7

**6 1 0 4 8 6 1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6104861 | 50 000 ლარი | 861 | 50 ლარი |
| 104861 | 15 000 ლარი | 61 | 3 ლარი |
| 04861 | 5 000 ლარი | 1 | 50 თეთრი |
| 4861 | 500 ლარი | | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**11X 1XX 211 XXX**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3005 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000.00 ლ. | გადადის მე-19 ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 514.80 ლ. | გადადის მე-19 ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 160.25 ლ. | გადადის მე-19 ტირაჟში |

### „ტოტო-ფეხბურთი" 11 მატჩი

**122 111 120 20**

გათამაშებაში მონაწილეობდა 2437 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 3 x | 333.30 ლ. | გადადის მე-19 ტირაჟში |
| 10 შედეგი | 26 x | 3.70 ლ. | |
| 9 შედეგი | 102 x | 1.00 ლ. | |

მე-19 ტირაჟის პროგრამა
20–21 მაისი

### „ტოტო-ფეხბურთი 12"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] – [illegible] | | 60-20-20 |
| 2. | [illegible] – [illegible] | | 50-30-20 |
| 3. | [illegible] – [illegible] | | 30-30-40 |
| 4. | [illegible] – [illegible] | | 40-40-20 |
| 5. | [illegible] – [illegible] | | 60-20-20 |
| 6. | [illegible] – [illegible] | | 50-30-20 |
| 7. | [illegible] – [illegible] | | 40-30-30 |
| 8. | [illegible] – [illegible] | | 20-40-40 |
| 9. | [illegible] – [illegible] | | 20-20-60 |
| 10. | [illegible] – [illegible] | | 30-40-30 |
| 11. | [illegible] – [illegible] | | 40-20-35 |
| 12. | [illegible] – [illegible] | | 20-40-40 |

[illegible]

# მესამე სუპერტურნირი: კასპაროვი და მისი მდევრები

სარაევოს სუპერტურნირი, რომელიც დღეს დაიწყება, მეტად პრინციპული და საპასუხისმგებლო ასპარეზობაა: იქ ერთხელ კიდევ დადგება საკითხი — ძალთა რა შეფარდებაა ამჟამად მსოფლიოში უდავოდ უძლიერეს გარი კასპაროვსა და მის უახლოეს მდევრებს შორის. რა თქმა უნდა, კასპაროვი ვალდებული არ არის ყოველთვის პირველ ადგილზე გამოვიდეს, მაგრამ თითოეული მისი შედარებითი წარუმატებლობა (ვთქვათ მეორე ადგილი!) საჭადრაკო სამყაროში აშკარა აჟიოტაჟს იწვევს.

წლეულს ვეიკ-ან-ზეეში კასპაროვი პირველ ადგილზე გავიდა, შორს ჩამოიტოვა მეორე-მეოთხე ადგილებზე გასული კრამნიკი, ანანდი და ლეკო, მაგრამ „მოკირკიტე" საჭადრაკო მიმომხილველთა აზრით, წმინდა შემოქმედებითი თვალსაზრისით, არც ისე ბრწყინვალედ თამაშობდა. მეორე წლევანდელ სუპერტურნირში ლინარესში კასპაროვი იმავე დონეზე თამაშობდა, ამჯერად პირველი-მეორე ადგილები გაიყო კრამნიკთან, და მყისვე შეუწყო ხელი ამ ახალგაზრდა დიდოსტატის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად წამოყენებას, რასაც საჭადრაკო სამყაროში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ახლა რა, ლასკერისა და კაპაბლანკას დროა, როცა ჩემპიონი თვით ასახელებს თავის ძომავალ მეტოქეს?!

სარაევოს სუპერტურნირში თამაშზე თავი შეიკავა კრამნიკმა, ბოლო წლების ყველა დიდი თუ არც ისე დიდი ტურნირის უცილობელმა მონაწილემ. ამისათვის კრამნიკს მიზეზიც აქვს: იგი აპირებს მსოფლიო პირველობის მატჩისათვის საგანგებოდ მომზადებას. ლაპარაკია არა მარტო თეორიულ მომზადებაზე და სათანადო დამხმარეების შერჩევაზე (ახლა არ ვიცით, მაგრამ ადრე კრამნიკს ეხმარებოდნენ ბორის გელფანდი და ალექსანდრ ხალიფმანი, ისევე, როგორც თვით კრამნიკიც გამოდიოდა თავისი მომავალი მეტოქის — კასპაროვის მრჩევლის როლში), არამედ ფიზიკური კონდიციის ამაღლებაზეც. კრამნიკი ადრე უჩიოდა იმას, რომ უჭირს ხანგრძლივ ასპარეზობებში თამაში, და, ამ გაგებით, მსოფლიო პირველობის მატჩზე ხანგრძლივი რაღა უნდა იყოს.

აქვე, ვიტყვით, თუ რამდენ პარტიას ითამაშებენ მსოფლიო პირველობაზე ოქტომბერში კასპაროვი და კრამნიკი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ადრე მათი რიცხვი იცვლებოდა, ახლა კი არის მისი 18-მდე შემცირების ტენდენცია.

თუ ისევ სარაევოს სუპერტურნირს დავუბრუნდებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ კასპაროვის მთავარი მეტოქეები იქნებიან, როგორც ყოველთვის, ვიშვანათან ანანდი და ალექსეი შიროვი. ყველა შარშანწინდელ თუ შარშანდელ ტურნირში (მცირე გამონაკლისით) ისინი საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. იგივე ეხება წლევანდელ ასპარეზობებსაც.

შეიძლება ბევრს გაუკვირდა, რომ თებერვალში მოლაპარაკების შემდეგ ანანდმა უარი განაცხადა ეთამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე კასპაროვთან, და ეს უფლება თავისი სურვილით კრამნიკს დაუთმო. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ჯერ ერთი, ანანდმა 1995 წელს წააგო ასეთი მატჩი კასპაროვთან და ფიქრობს, რომ რევანშის დრო ჯერ არ დამდგარა. პირად შეხვედრებში ინდოელს ძალზე უარყოფითი ანგარიში აქვს მსოფლიო ჩემპიონთან და ამის გამოსწორებას, რა თქმა უნდა, შეეცდება — დიახ, დროს უცდის! ჯერჯერობით იგი შეხედავს, რითი დამთავრდება კასპაროვის მატჩი იმ მოთამაშესთან (კრამნიკთან!), რომელთანაც ყველაზე მეტად უჭირს თამაში.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონობაზე ფიქრობს ალექსეი შიროვი, ამჟამად, ასე ვთქვათ, მსოფლიოს მოქალაქე. ოდესღაც მშობლიურ რიგაში გენიალურ მიხეილ ტალის მოწაფედ ითვლებოდა, შემდეგ ესპანეთის მოქალაქე გახდა, თუმცა ახლა ამ ქვეყანასთან, პასპორტის გარდა, არაფერი აკავშირებს. არგენტინელ ცოლს გაეყარა და ახლა ვარშავაში თავის ახალ მეუღლესთან ცხოვრობს. შიროვს კასპაროვი არ უყვარს, მას მსოფლიო პირველობის მატჩის ჩაშლაში ადანაშაულებს, მასთან თითქმის ყველა პარტიას აგებს, თუმცა ზოგჯერ ახლოს არის ხოლმე გამარჯვებასთან და ყველა ახალ შეჯიბრებაში მის ჩამოტოვებაზე ოცნებობს.

სულაც არ გვინდა იმის მტკიცება, რომ სარაევოში კასპაროვს პრიზისათვის მხოლოდ ანანდსა და შიროვთან მოუხდება ბრძოლა. ამ სუპერტურნირში ხომ 14 პირველხარისხოვანი დიდოსტატია, თითოეული მათგანი, ცხადია, დიდი ამბიციებით. ამჯერად კი განსაკუთრებით გვაინტერესებს ფრანგი ვუნდერკინდის, ეტიენ ბაკროს გამოსვლა, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ ზურაბ აზმაიფარაშვილი ამზადებდა, ახლა კი გარი კასპაროვის ყოფილი მასწავლებელი, განთქმული თეორეტიკოსი და მეთოდისტი ალექსანდრ ნიკიტინი ამეცადინებს. რა თქმა უნდა, ბაკროს დრო ჯერ არ დამდგარა (დაიბ. 1983 წ. 22 იანვარს, ასეთ ასაკში საერთაშორისო ტურნირებში მხოლოდ რობერტ ფიშერი თუ იმარჯვებდა), სუპერტურნირში პირველად გამოდის, რაც თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევს.

**ბივი ბამრეკელი**

# კასპაროვი - იუდით პოლგარი 1,5:0,5

**საინტერესო მატჩი გაიმართა ინტერნეტით ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვსა და მსოფლიოში უძლიერეს მოჭადრაკე ქალ იუდით პოლგარს შორის. პირველი პარტია, რომელშიც კასპაროვი შავებით თამაშობდა, ყაიმით დასრულდა. მეორე კი კასპაროვმა მოიგო. ამრიგად, ამ მიკრომატჩის საბოლოო ანგარიშია 1,5:0,5 კასპაროვის სასარგებლოდ.**

# 10 დიდოსტატი ესენში

ესენის (გერმანია) საერთაშორისო ტურნირში ათი დიდოსტატი მონაწილეობდა. მათ შორის არც რომელიმე აშკარა ფავორიტი იყო და არც ვინმე აუტსაიდერი. საინტერესოა, რომ საბოლოო ანგარიშით პირველ ადგილზე გასულმა ბოლო, მეათე სულ 2,5 ქულით ჩამოიტოვა.

5,5-5,5 ქულით პირველი სამი ადგილი გაიყვეს ვადიმ ზვიაგინცევმა, ალექსეი დრეევმა (ორივე — რუსეთი) და კლაუს ბიშოფმა (გერმანია), დამატებითი მონაცემებით პირველი ადგილი ზვიაგინცევს მიეკუთვნა, მეორე — დრეევს. ცნობილმა დიდოსტატმა ალექსანდრ ბელიავსკიმ (ახლა სლოვენიის სახელით გამოდის და მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლებაც აქვს) 4,5 ქულით მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სფფ-ს ყოფილ გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს მამის**
**ვასილ კვინიკაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის 1962 წლის გამოშვება თანაგრძნობას უცხადებს თანაკურსელ დავით კვინიკაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს დავით კვინიკაძეს მამის გარდაცვალების გამო.**
დაკრძალვა ხაშურში, გორის ქ. 13, ხუთშაბათს, 15 საათზე.

# კროსვორდი №38



**თარაზულად:** 5. თბილისის „დინამოს" ძველი თაობის ფეხბურთელი, 7. ტერმინი კრივში, 8. ქართული სარაგბო გუნდი, 9. თურქი ფალავანი (თ/ჭ) ოლიმპიური ჩემპიონი (1968), 12. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მშვილდოსნობაში, 16. სპორტის ოლიმპიური სახეობა, 17. შეფასება ძიუდოში, 18. წარსულში ცნობილი უცხოელი მოჭადრაკე ვაჟი — ჟურნალისტი, 20. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, 23. ჯარიმის ზღვარზე თამაში კალათბურთში, 24. კონსტრუქტორთა შორის ფორმულა-1-ში მონაწილე ფირმა, 27. რუსი ჰოკეისტი ნხლ-ში მოთამაშე, 29. კასიუს კლეის მეორე გვარი, 31. „მანჩესტერის" ყოფილი ფრანგი ლეგიონერი ფეხბურთელი, 32. ჩილეს ნაკრების ფეხბურთელი (მჩ — 1998), 33. კორეის ნაკრების ფეხბურთელი (მჩ — 1998). 34. ცნობილი პრომოუტერი, 35. ბრაზილიის ნაკრების წევრი ფეხბურთში (მჩ — 1998).

**შვეულად:** 1. პარტია ჩოგბურთში, 2. ყოფილი ფრუნზეს საფეხბურთო კლუბი, 3. ფეხბურთის გულშემატკივართა მეტსახელი ზოგიერთ ქვეყანაში, 4. თბილისის „დინამოს" არაქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 6. შტანგისტი ანუ... 10. ქართული ჭიდაობის ილეთი, 11. ველოსპორტის არენა, 13. ქართველი ფეხბურთელი — მეკარე, უთამაშია რუსეთში, 14. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ვაჟი ჭადრაკში, 15. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 19. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 21. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, 22. იაპონელი ფეხბურთელი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 25. საქართველოს ნაკრების წევრი ფეხბურთელი, 26. ქართველი ფეხბურთელი, ლეგიონერი, 28. უნაგირის მოსართავი, 29. ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ქართველი ძალოსანი, 30. ჰოკეიში ცნობილი ჯილდოს სახელი.

## კროსვორდი №37-ის პასუხები:

**თარაზულად:** 5. უნიფორმა, 6. სარაგოსა, 8. ორბელიანი, 8. სტარტი, 11. განძი, 13. ესკიმო, 18. ადეილი, 20. აიალა, 21. ბაიერი, 22. ესპადრონი, 23. სტადიონი, 24. ფაძაევი. **შვეულად:** 1. სუმისტი, 2. ხოდორი, 3. ტაბიძე, 4. ტანდემი, 10. რვეული, 11. გლორია, 12. იტალია. 14. კალევი, 15. ადიდასი, 16. ნარდი, 17. კროაცია, 19. ივერია, 21. ბლიაძე.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, I არხი.*** „სტადიონი" (11.05), საფეხბურთო მიმოხილვა (14.30), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (14.00, 21.55), გერმანიის (15.45, 1.00), ბრაზილიის (19.50), ესპანეთის (22.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ჰოკეი (3.30, 6.30), ცხენოსნობა. დაიჯესტი (9.30), კალათბურთი. ნბა. (15.30). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (17.00, ინგლისის (18.30,), პოლანდიის (23.00), იტალიის (1.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი: „ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები" (14.00), ევროგოლი (15,00); რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (4. 00).

**17 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (1 8.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (23.30), ***OPT (1).*** ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი დანიიდან (23.40), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 23.45), ინგლისის (14.15, 1.00), ბრაზილიის (15.30, 23.15), რუსეთის (19.55, 0.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.30, 7.00, 17.30,20.00), ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. არსენალი – გალათასარაი (23.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (12.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.30).

**18 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის (13.15, 15.00), იტალიის (15.55), განვლილი კვირის ჰიტ-პარადის (16.45, 23.30), მინი-ფეხბურთის ევროპის (19.50) , ბრაზილიის (20.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა; ევრო-2000-ის გზებზე (23.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: უეფას თასი. ფინალი (12.30), ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (1.30), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო პირველობა (14.30), კრივი. ევროპის პირველობა (15.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (16.30), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (23.30).

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლa2! მუქარა 2. ლd5X.
1. ...კb3 2. ლe2X. 1. ...კc3 2. მf2X.
1. ...კ:f3 2. ლc2X. 1. ...b4 2. ლc4X.


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.